საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №283 (2656) ოთხშაბათი, 12 ნოემბერი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

პარლამენტი

ვიდრე დღის წესრიგს დაამტკიცებდნენ

11 ნოემბერს მუშაობას შეუდგა საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა.

ვიდრე მთელი კვირის დღის წესრიგს დაამტკიცებდნენ, დრო დეპუტატთა განცხადებებს დაეთმო.

პარლამენტარმა გენო კალანდიამ მოითხოვა დღის წესრიგში აფხაზეთის საკითხის შეტანა. ამასთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, რომ აფხაზეთის საკითხი საქართველოს პარლამენტის მუდმივი ყურადღების ცენტრშია, მასზე მსჯელობენ ბიუროს სხდომებზეც და ასე სპონტანურად ამ საკითხის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანა მიზანშეწონილი არ არის.

შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ დაბადების 70 წელი მიულოცა პარლამენტის წევრს გიგა ლორთქიფანიძეს, ხოლო 65 წელი – პარლამენტარ გურამ ქაშაკაშვილს.

იხ. მე-2 გვ.

გვიპასუხებენ

„გთხოვთ განვაგრძოთ თანამშრომლობა..."

ქართულ პრესაში, მათ შორის „საქართველოს რესპუბლიკაში", ხანდახან ქვეყნდება მასალები გერმანიაში ქართველი კრიმინალური ელემენტების ფართომასშტაბიანი ორგანიზებული დანაშაულობების შესახებ. ამ საკითხზე ობიექტური ინფორმაციის მისაღებად საქართველოს საელჩომ შეკითხვა გაუგზავნა გერმანიის კრიმინალურ სამსახურს გერმანიაში მყოფი ქართული კრიმინალური ჯგუფების შესახებ და სთხოვა მას შესაბამისი ცნობა.

24 ოქტომბერს საელჩომ მიიღო გერმანიის კრიმინალური პოლიციის ოფიციალური პასუხი, რომელშიც წერია:

„გერმანიაში ორგანიზებული დანაშაულის ბოლო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა შორის საქართველოს მოქალაქეები არ იხსენიებიან. აქედან გამომდინარე, ქართველთა დაჯგუფებები ორგანიზებული დანაშაულის ჩადენ სხვა დაჯგუფებებთან შედარებით უმნიშვნელო როლს თამაშობენ. ამასთან, გერმანიის კრიმინალურ სამსახურს მიაჩნია, რომ დანაშაულებრივ დაჯგუფებებზე (მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ), კრიმინალურ ელემენტებზე დაკვირვება უნდა გაგრძელდეს. ამიტომ, გთხოვთ, განვაგრძოთ თანამშრომლობა გერმანიის კრიმინალურ სამსახურსა და საქართველოს შესაბამის უწყებებს შორის".

პატივისცემით

კოტე გაბაშვილი,

საქართველოს ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

დიალოგი

გაუცხოება უნდა დავძლიოთ

როგორც ცნობილია, 14 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტი ბატონი ედუარდ შევარდნაძე და უღიარებელი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ლუდვიგ ჩიბიროვი ერთმანეთს უნდა შეხვდნენ, რაც იმედია, შემდგომ ურთიერთგაგებასაც შეუწყობს ხელს და საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებისკენ წინგადადგმული ნაბიჯიც იქნება. ამ შეხვედრის წინ ჩვენმა კორესპონდენტმა სთხოვა *უღიარებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს ფატიმა ფუხაევას პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე.*

— როგორ გესახებათ თქვენი მოღვაწეობა ამ ეტაპზე, ამ თანამდებობაზე?

– ჩვენ არ ვეგეგმავდით ქალთა საბჭოს აღდგენას. უბრალოდ – საზოგადოების სოციალურად დაყოფის შედეგად წარმოიშვა ჩვენთან ქალთა სტიქიური მოძრაობა მატერიალურად ნაკლებუზრუნველყოფილ ოჯახთა დასახმარებლად. უწინარესად ბავშვების ბედი გვაღელვებდა, ჩვენ მათ ვუნაწილებდით პროდუქტებს, ტანსაცმელს, ვეხმარებოდით მატერიალურად და სხვა. ჩვენ ამ წამოწყებას უერო „სასწრაფო სოციალურ დახმარებას" დავარქმევდით.

იხ. მე-6 გვ.

ვიზიტი

საქართველომ და ყაზახეთის რესპუბლიკამ ერთხელ კიდევ უმაღლეს დონეზე დაადასტურეს თანამშრომლობის გააქტიურებისკენ შეუქცევადი სწრაფვა

საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი ყაზახეთში

ალმათი, 11 ნოემბერი. (საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტები).

საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის თვისებრივად ახალი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისი, რომელიც გულისხმობს როგორც ორმხრივი, ისე რეგიონული თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისათვის მტკიცე საფუძვლის შექმნას, – ასე შეიძლება შეფასდეს ის შედეგები, რომლებიც უკვე მოიტანა ყაზახეთის რესპუბლიკაში საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტის პირველმა სამუშაო დღემ.

ვიზიტი დაიწყო 11 ნოემბერს, ნაშუადღევს. საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს ოფიციალურ დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებათა წარმომადგენლები, ალმათის აეროპორტში დახვდნენ ყაზახეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მდივანი აბიშ კეკილბაევი, ქალაქის მერი ვ. ხრაპუნოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სასახლის ეზოში კი, სადაც გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის დახვედრის ოფიციალური ცერემონია, ედუარდ შევარდნაძეს მიეგება ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი. ცერემონიის შემდეგ, რომლის დროსაც რესპუბლიკის გვარდიამ შეასრულა საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკის ჰიმნები, დაიწყო ვიზიტის საქმიანი ნაწილი.

* * *

ყაზახეთის რესპუბლიკა, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია როგორც ეკონომიკურ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე ავტორიტეტის ამაღლების თვალსაზრისით, ამ ბოლო წლებში საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან და სტაბილურ პარტნიორად ჩამოყალიბდა. ორ ქვეყანას შორის უაღრესად დინამიკურად განვითარებულმა ურთიერთობამ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა 1993 წელს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტმა ყაზახეთში, ხოლო მოგვიანებით, 1996 წელს, ახალი, მძლავრი იმპულსი მიანიჭა ნურსულთან ნაზარბაევის ოფი-

იხ. მე-2 გვ.

ყაზახეთის რესპუბლიკისა და საქართველოს

დეკლარაცია

თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ

ყაზახეთის რესპუბლიკა და საქართველო, შემდგომში მხარეებად წოდებულნი,

ხელმძღვანელობენ რა საქართველოს რესპუბლიკასა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის ძირითადი პრინციპების შესახებ 1993 წლის 1 ივნისს დადებული ხელშეკრულების დებულებებით, რომელიც საფუძვლად დაედო ორი ქვეყნის ტრადიციულად მეგობრული ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას,

ესწრაფვიან რა ორი ქვეყნის მატერიალური და ინტელექტუალური პოტენციალის ყველაზე სრულად გამოყენებას, ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის გაღრმავების კონკრეტული ამოცანების პრაქტიკული განხორციელებისადმი მიდგომის შემუშავებასა და ეფექტიანი მექანიზმების შექმნას,

ადასტურებენ რა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, მიზნებისა და პრინციპების, ჰელსინკის დასკვნითი აქტის დებულებების, ახალი ევროპისათვის პარიზის ქარტიისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სხვა ფუძემდებელი დოკუმენტებისადმი ერთგულებას,

აცხადებენ შემდეგს:

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 1 ნოემბერი ქ. თბილისი

ზ. ელბაქიძის III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის ავღანელთა სპეციალური დანიშნულების ბატალიონის მეთაურის ყოფილი მოადგილე, სახელმწიფო საფელდეგერო სამმართველოს უფროსის თანაშემწე, უფროსი ლეიტენანტი **ზაურ ელბაქიძე** დაჯილდოვდეს III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

გ. ეძგვერაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების, მისი ფართო პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ქ. დიუსელდორფის სამხატვრო აკადემიის პროფესორი **გიორგი ეძგვერაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

წოდების მინიჭება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1997 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცერთა შემადგენლობისათვის სპეციალური წოდებების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ განსაკუთრებული დამსახურებისათვის ვადამდე:

პოლკოვნიკის სპეციალური წოდება:

გია გაგნიძეს – შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსს, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკს

თამაზ თამაზაშვილს – შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსს, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკს

მურმან ლომთაძეს – შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსს, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკს

ზვიად მანიას – ქ. ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსს, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკს

ნიკოლოზ ჯაფარიძეს – ქ. თბილისის ისნის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსს, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკს.

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის სპეციალური წოდება:

ბესიკ ალადაშვილს– შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, პოლიციის მაიორს

გია ტაბალუას – შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველოს, პიროვნების ღირსებისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროს ინსპექტორს, პოლიციის მაიორს

გურამ ტუღუშს – ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსს, პოლიციის მაიორს

მიტო ხინაშვილს – შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგამოძიებო სამმართველოს გლდანის რაიონის საგამოძიებო განყოფილების უფროსს, პოლიციის მაიორს.

პოლიციის მაიორის სპეციალური წოდება:

კახა გიორგაძეს – შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კორუფციასთან და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს მექრთამეობის და თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის უფროს ინსპექტორს, პოლიციის კაპიტანს

გიორგი კეთილაძეს – შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტის ეკოლოგიის პოლიციის მთავარი სამმართველოს წიაღის უკანონოდ მოპოვების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსს, პოლიციის კაპიტანს

სულხან პაპაშვილს – ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის სამართალდაცვის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, პოლიციის კაპიტანს

კახაბერ მუხაშავრიას – შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს ნარკოტიკებით უკანონო წარმოების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსს, პოლიციის კაპიტანს.

ე. შევარდნაძე.

ინფორმაცია

მხოლოდ ერთიანობით აღვადგენთ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას

11 ნოემბერს ოფიცერთა სახლში გაიმართა საკოორდინაციო საბჭოში გაერთიანებულ პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა ეგიდით გამართული ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა შეკრება.

როგორც ცნობილია, საკოორდინაციო საბჭო სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასთან ერთად ამ დღისათვის ყრილობის მოსაწვევად ემზადებოდა, მაგრამ მთელი რიგი რადიკალური მოთხოვნების გამო ყრილობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა და მინისტრთა საბჭოებმა, დევნილთა კავშირმა, აფხაზეთის მეომართა კავშირმა, მოქალაქეთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციამ, ცხუმ-აფხაზეთის საზოგადოებამ.

ფრაქცია „აფხაზეთის" წევრმა ბორის კაკუბავამ განაცხადა, რომ ყრილობის ნაცვლად, საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, გაიმართება დევნილთა შეკრება.

გამომსვლელებმა – პარლამენტარებმა, საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იმსჯელეს აფხაზეთის გამო შექმნილ ვითარებაზე, აფხაზეთში განლაგებული სამშვიდობო ძალების ინერტულობაზე კონფლიქტის გადაწყვეტის საქმეში, აღინიშნა, რომ დღევანდელ მეტად რთულ დროს საჭიროა ქვეყნის ყველა პოლიტიკური ძალის გაერთიანება და კონსოლიდაცია აფხაზეთში ღირსეული დაბრუნებისათვის. საუბარი შეეხო აგრეთვე დევნილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა სოციალურ ყოფას. შეკრებაზე გაკეთდა რადიკალური განცხადებებიც.

შეკრების ორგანიზატორთა აზრით დევნილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა ყრილობა ახლო მომავალში გაიმართება.

საჩუქრად აფხაზეთის სვანეთის მოსახლეობას

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს აფხაზეთის სვანეთის – კოდორის ხეობის მოსახლეობისადმი, რომელსაც წინ წლევანდელი მძიმე და ძნელი ზამთარი ელის.

ენერგეტიკული კრიზისის უმტკივნეულოდ გადატანის მიზნით, პირადად მინისტრის დავით ზუბიტაშვილის ინიციატივით სახელმწიფო კომპანია „საქენერგოგენერაციამ" (გენერალური დირექტორი – ნოდარ ბადურაშვილი) და სახელმწიფო კომპანია „საქენერგომ" (გენერალური დირექტორი – ვაჟა მეტრეველი) ხეობის მოსახლეობას 10 მიკროჰიდროელექტროსადგური შეუძინეს.

ასე რომ, ხეობის მოსახლეობას, რომელიც ვაჟკაცურად იცავს აფხაზეთის ტერიტორიის ამ ნაწილს, წელს უშუქობა და სიცივე ადრინდებულად არ შეაწუხებს.

გვექნება ციფრული ტელეპროგრამები

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრმა ფრიდონ ინჯიამ მიიღო თურქეთის ტრანსპორტირებისა და ტელეკომუნიკაციების მინისტრი ბატონი ნაჟებტ მენაზირი, თურქეთის ელჩი საქართველოში ბატონი სევფიქ ოქიაუზი და სხვა ოფიციალური პირები. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ტურსატის (თურქეთის სატელიტური კოსმოსური თანამგზავრის) საშუალებით კავკასიის, საქართველოს და მის მოქმედების არეალში მყოფი ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე რადიოს და ციფრული სატელევიზიო პროგრამების გავრცელებაზე.

საქართველოში ამ საკითხის გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს გაუმჯობესდეს რადიო და სატელევიზიო პროგრამების გავრცელება ზმ მაღალმთიან რეგიონებში, რომელთაც დღეისათვის ვერ, ან ძნელად მიეწოდებათ სატელევიზიო პროგრამები. ამასთანავე ეს სისტემა შესაძლებელს გახდის, რომ საქართველოს ტელერადიო პროგრამები მიიღონ ამიერკავკასიის ქვეყნებში, ჩრდილოეთ კავკასიაში, თურქეთში, ირანის ჩრდილოეთში, ყირიმში, მოლდავეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, საბერძნეთში და ა.შ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ 15 ნოემბრიდან დაიწყება მუშაობა თურქეთის ტურსატის მიერ საცდელი სხივების გამოყენებით მთლიანი ციფრული სატელევიზიო სისტემების ტესტირებისათვის. საქართველოს მხარე ყველა პირობას შექმნის მისი წარმატებისთვის.

მიღებულია პრინციპული შეთანხმება სატელეკომუნიკაციო ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზის მშენებლობის თაობაზე.

გაიტაცეს ცხინვალის პროკურორი

როგორც გუშინ, გვიან ღამით შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციიდან გვაცნობეს, ჯერ კიდევ გაურკვეველია ცხინვალის პროკურორის გურამ ბაბუციძის ადგილსამყოფელი, რომელსაც 10 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, პოლიციის თანამშრომელთან ერთად სოფელ ძარწემიდან გორში დაბრუნებისას, ძარწემი-ხეითის გზაზე თავს დაესხნენ ნიღბიანი ბოროტმოქმედები. პოლიციის თანამშრომელი სცემეს, ხოლო პროკურორი ავტომანქანიდან გადმოსვეს და გაურკვეველი მიმართულებით გაიტაცეს. დამნაშავეთა ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია. მიმდინარეობს გამოძიება.

შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია, თვით სახელმწიფო რწმუნებული ირაკლი ბოჭორიძე და მხარის სამართალდამცავი ორგანოები აქტიურად ჩაებნენ გატაცებული პროკურორის ადგილსამყოფელის დადგენისა და მისი გათავისუფლების ღონისძიებებში.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა – საქინფორმმა, „იბერიამ", „მოამბე-ექს-პრესმა და ჩვენმა კორესპონდენტებმა.

გამოფენა

ქართული კულტურის ჰორიზონტები

ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში ყოველწლიურად იმართება წლის საუკეთესო ნახატების გამოფენა.

ახლახანს აქ გაიხსნა უცხოელ ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც დაცული იყო ოცი წლის მანძილზე გალერეის ფონდებში.

– ამ ღონისძიებით გვინდოდა დავკავშირებოდით საქართველოში არსებული საელჩოების სხვადასხვა საბავშვო ფონდებსა და ორგანიზაციებს, რათა გაგვეახლებინა კონტაქტები უცხოელ შემოქმედ ბავშვებთან – თქვა გალერეის ინფორმაციის განყოფილების გამგემ მარინა თაბურიძემ.

გამოფენაზე წარმოდგენილია მსოფლიოს ორმოცდახუთი ქვეყნის ბავშვთა ნახატები.

ამგვარი ღონისძიებები გალერეის თანამშრომლებს ეხმარება ანალოგიურ დაწესებულებათა პედაგოგებთან, ხელოვნებათმცოდნეებთან და იმ პიროვნებებთან კონტაქტების დამყარებაში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ბავშვთა შემოქმედებასა და მათს ესთეტიკურ აღზრდასთან.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროების წარმომადგენლები, გერმანელი, პოლანდიელი, ფრანგი სტუმრები. სამწუხაროდ, მას ვერ დაესწრო ყველა ქვეყნის წარმომადგენელი.

გამოფენა გახსნა ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის დირექტორმა **ლია გიორგაძემ.**

საქართველოს განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსმა **მიშა მინდაძემ** და განათლების მინისტრის მოადგილემ **გიორგი შარვაშიძემ,** მოწვეულმა სტუმრებმა დადებითად შეაფასეს ასეთი ინიციატივები.

* * *

თურქეთის საელჩოს კულტურის განყოფილებამ კი საქართველოს ბავშვთა სურათების გალერეაში უკვე მეოთხედ გამართა კონკურსი დევიზით: „ბავშვები".

შარშანდელ კონკურსში ცხრა ბავშვიდან შვიდმა გალერეის აღსაზრდელმა გაიმარჯვა. ამჯერად ოთხი გამარჯვებულიდან გალერეის სამმა ნორჩმა მხატვარმა მოიპოვა გრან-პრი და პირველი-მეორე ადგილები გაინაწილეს. (ეკა ელბაქიძემ – გრან-პრი, პირველი-მეორე ადგილები მიიღეს ანა ღონღაძემ და სალომე მახარაშვილმა).

ბავშვთა სურათების გალერეის თანამშრომლებს უყურადღებოდ არ რჩებათ არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. ახლახანს თბილისობასთან დაკავშირებითაც მოეწყო ყმაწვილთა გამოფენა.

* * *

მალე ბავშვთა სურათების გალერეაში წარმოდგენილი იქნება საქართველოს ახალგაზრდა ეკოლოგთა – საემის გამოფენა, რომელსაც ეწვევა ევროკავშირის თავმჯდომარე დენის კორბოი. მავი ზღვის პრობლემებისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზატორია ახალგაზრდა ეკოლოგთა მოძრაობის თავმჯდომარე **გიორგი დარციმელია.**

იზა ჯაჭვაძე.

უკანასკნელ საათს

ნიუ-იორკი. გაეროს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ერაყში გაგზავნილ ინსპექტორთა ჯგუფს მიელინება შეუწყვიტოს.

ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც ერაყის მთავრობამ გაეროს ინსპექტორები კვლავ არ შეუშვა სამხედრო ობიექტებზე. ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში მყოფი დამკვირვებლები გაწვეულნი იყვნენ ბაღდადში და მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით, აშშ გაეროს უშიშროების საბჭოს მოუწოდა, რომ ერაყის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციები კვლავ გამკაცრდეს. ოფიციალურმა ვაშინგტონმა ერაყისათვის „ჭკუის სასწავლებლად" იარაღის გამოყენებისათვის მზადყოფნაც გამოთქვა. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესმდივანმა სერგეი იასტრჟემბსკიმ განაცხადა, რომ რუსეთი ერაყზე შეიარაღებული აგრესიის განსახორციელებლად გაეროს უშიშროების საბჭოს გამოყენების წინააღმდეგია.

მახაჩკალა. დაღესტნის უშიშროების საბჭოს მდივნის მაგომედ თალბოევის განცხადებით, ჩეჩნეთმა დაღესტნის წინააღმდეგ საინფორმაციო ომი გააჩაღა.

მისი თქმით, დაღესტნელები კანონის ფარგლებში ამ იდეოლოგიურ და საინფორმაციო ექსპანსიას წინ უნდა აღუდგნენ. სწორედ ამიტომ, დაღესტნის უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე რესპუბლიკის მთავრობას ჩეჩნეთთან ადმინისტრაციულ საზღვარზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამატებითი ზომების მიღება დაევალა.

თალბოევის ინფორმაციით, სასაზღვრო რაიონების ადგილობრივ მცხოვრებთაგან შეიქმნება თავდაცვის შეიარაღებული რაზმები. „ჩვენ ვაფასებთ ჩეჩნეთის ხელისუფლების სურვილს თავის კონტროლს დაუქვემდებაროს მთელი თავისი ტერიტორია, მაგრამ ამასთანავე, აღვნიშნავთ, რომ დაღესტანს არანაკლები ხარისხის სახელმწიფოებრიობა აქვს", – დასძინა თალბოევმა.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 283. ოთხშაბათი, 12 ნოემბერი. 1997 წელი.

საქართველომ და ყაზახეთის რესპუბლიკამ ერთხელ კიდევ უმაღლეს დონეზე დაადასტურეს თანამშრომლობის გააქტიურებისკენ შეუქცევადი სწრაფვა

ციალურმა ვიზიტმა საქართველოში, ერთდროულად მოიცვა როგორც ორმხრივი, ისე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში უაღრესად კონსტრუქციული თანამშრომლობა. საქართველო და ყაზახეთი ეფექტურად თანამშრომლობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში, აგრეთვე ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის საერთაშორისო პროექტის განხორციელებაში, როგორიც არის „ტრასეკას“ პროექტი. ორ ქვეყანას შორის საერთო ინტერესებზე დაფუძნებული და ორმხრივხელსაყრელი ურთიერთობის მაგალითია აგრეთვე „თენგიზის“ ნავთობის საქართველოს გავლით საერთაშორისო ბაზრებზე ექსპორტი, რომლის მოცულობამაც უკვე 700 ათას ტონას მიაღწია...

ამ უაღრესად მასშტაბურ და მრავალმხრივ ურთიერთობას მყარი სამართლებრივი საფუძველი აქვს, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის მიმართულებათა განმსაზღვრელი 36 ორმხრივი დოკუმენტის სახით. საქართველოს პრეზიდენტის ამჟამინდელი ვიზიტის მიზანი, ასევე ორმხრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სწორედ ამ სამართლებრივი ბაზის შემდგომი გაფართოება და განმტკიცება იყო და იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება მიღწეულად ჩაითვალოს. საქართველომ და ყაზახეთის რესპუბლიკამ ერთხელ კიდევ უმაღლეს დონეზე დაადასტურეს თანამშრომლობის გააქტიურებისაკენ შეუქცევადი სწრაფვა, რაც ამჯერად ურთიერთობის ახალი ეტაპის შესაბამისი პრიორიტეტების გამოკვეთით გამოიხატა. მათ შესახებ უფრო ქვემოთ მოგითხრობთ, მანამდე კი მოვლენები ასეთი თანამიმდევრობით ვითარდებოდა:

იმავე დღეს გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის საუბარი პირისპირ, რომელიც საათნახევარს გრძელდებოდა. ყაზახეთის ხელმძღვანელმა საპატიო სტუმარს გააცნო მის ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები, დაწვრილებით შეეხო ყაზახეთის დემოკრატიული განვითარების სტრატეგიას. პრეზიდენტთა ყურადღების ცენტრში იყო ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის გეგმები და პერსპექტივები. დეტალურად განიხილეს ყაზახეთიდან ენერგორესურსების ექსპორტის საკითხები.

შეხვედრის დროს სახელმწიფოთა ხელმძღვანელებმა განიხილეს პრაქტიკულად ყველა აქტუალური პრობლემა ორმხრივი ურთიერთობისა, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის ეფექტიანობის შემდგომ გადიდებას. აღინიშნა, რომ საქართველოს და ყაზახეთს მჭიდროდ აკავშირებს მრავალი წლის მეგობრობა. ორივე პრეზიდენტმა უდავო კმაყოფილება გამოთქვა ნდობის იმ დონის გამო, რომელიც ყაზახეთსა და საქართველოს შორის არის დამყარებული. ასეთ პირობებში, როცა ფართო შესაძლებლობები ისახება ორმხრივი ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის, უნდა განხორციელდეს მთელი რიგი კონკრეტული პროექტები. უწინარეს ყოვლისა, მხარეები მიზნად ისახავენ გამოიყენონ ორივე სახელმწიფოს სატრანზიტო პოტენციალთან დაკავშირებული შესაძლებლობები. ამ მიმართულებით ყაზახეთმა უკვე გადადგა მთელი რიგი სერიოზული ნაბიჯები და ერთი ასეთი ნაბიჯია კასპიის ზღვის სანაპიროზე ახალი ნავსადგურის — აქთაუს მშენებლობა, რისთვისაც უკვე დაიხარჯა 73 მილიონი ამერიკული დოლარი. საუბრის დროს გამოითქვა იმედი, რომ ხელმოსაწერად გამზადებული დოკუმენტების პაკეტი საგრძნობ სტიმულს მისცემს ეკონომიკური ურთიერთმოქმედებისა და პარტნიორობის გაღრმავებას, კულტურული და ჰუმანიტარული კონტაქტების განვითარებას. გაიმართა აგრეთვე აზრთა სასარგებლო გაზიარება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საქმიანობის, კავკასიის რეგიონის, კავკასიასა და ცენტრალური აზიის რეგიონში სტაბილურობის განმტკიცების პრობლემათა თაობაზე.

შემდეგ გაიმართა დელეგაციათა მოლაპარაკება გაფართოებული შემადგენლობით. მოლაპარაკების დასრულების შემდეგ პრეზიდენტებმა ნურსულთან ნაზარბაევმა და ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერეს ყაზახეთის რესპუბლიკისა და საქართველოს დეკლარაციას თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ. ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი განამტკიცებს ორი სახელმწიფოს პარტნიორობის მაღალ დონეს, ხაზს უსვამს მხარეთა მისწრაფებას კიდევ უფრო სრულად გამოიყენონ ორი ქვეყნის მატერიალური და ინტელექტუალური პოტენციალი, შეიმუშაონ კონკრეტული მიდგომა თანამშრომლობის პროცესის განმტკიცების პრაქტიკულ ამოცანათა განხორციელებისათვის ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეალიების შესაბამისად. პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ყაზახეთის რესპუბლიკისა და საქართველოს მემორანდუმს საერთაშორისო ბაზრებზე ნახშირწყალბადიანი რესურსების ტრანსპორტირების საქმეში თანამშრომლობის შესახებ. ამ დოკუმენტს მხარეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან მას ამჟამინდელი ვიზიტის უდავო მიღწევად მიიჩნევენ. საქმე ის არის, რომ ნახშირწყალბადიან რესურსებს, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა მთელ რიგ ქვეყნებში, დასავლეთის ბაზრებზე საქართველოს სატრანსპორტო შესაძლებლობათა მეშვეობით გადაზიდავენ, და ამ გზას ყაზახეთი მიიჩნევს ყველაზე ეკონომიკურად და, ამავე დროს, ყველაზე სარგებლიანად მთელი რიგი პარამეტრების მიხედვით.

მოლაპარაკების შედეგი გახდა ნავთობისა და გაზის მრეწველობის დარგში თანამშრომლობის შესახებ სამთავრობათაშორისო ხელშეკრულების, შემოსავლისა და კაპიტალის გადასახადზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ კონვენციის, საკონსულო კონვენციის, სტატისტიკის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, თავისუფალი ვაჭრობის, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის დარგებში თანამშრომლობის შესახებ სამთავრობათაშორისო შეთანხმებების, სამხედრო და სამხედრო-ტექნიკურ დარგებში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა. სულ ხელმოწერილია 16 ოფიციალური დოკუმენტი. ამიერიდან ორი სახელმწიფოს ურთიერთობის სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა დაახლოებით 40 მორიგებასა და შეთანხმებას მოიცავს, რომლებმაც საქართველო და ყაზახეთი უნდა გაიყვანონ კონსტრუქციული და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის მაგისტრალურ გზაზე.

ოფიციალური დოკუმენტების ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ ყაზახეთისა და საქართველოს პრეზიდენტებმა გააკეთეს სპეციალური განცხადებები პრესისათვის. ნურსულთან ნაზარბაევი გულთბილად მიესალმა საქართველოს პრეზიდენტის პირველ ოფიციალურ ვიზიტს ალმათიში და აღნიშნა, რომ ხელმოწერილი შეთანხმებანი სახავენ ახალ გზებს ეფექტიანი თანამშრომლობისათვის. მან განაცხადა, რომ ყაზახეთი ქმედით და დაინტერესებულ მონაწილეობას იღებს კავკასიის დერეფნის მშენებლობაში. სავსებით ბუნებრივია, თქვა მან, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, საქართველოს სურვილი გაიყვანონ კავკასიის დერეფანი ნავთობისა და სხვა ენერგიამშენებლების ტრანსპორტირების, საქართველოს ტერიტორიის გავლით მდინარე დუნაისა და იმ ქვეყნებში გასასვლელად, რომელთა ტერიტორიაზეც მიედინება იგი. ამ მიზნით ყაზახეთი აშენებს კასპიის ზღვაზე აქთაუს ნავსადგურს, რაც საქართველოს შავიზღვისპირა ნავსადგურების მდიდარი შესაძლებლობების გათვალისწინებით, მიაჩნია ყაზახეთის პრეზიდენტს, საშუალებას მოგვცემს გადავზიდოთ ნახშირწყალბადიანი ნედლეული უკრაინასა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებში, მთლიანად ევროპაში. როგორც ბატონ ნაზარბაევს მიაჩნია ეს გარემოება თვისებრივად ახალ დონეზე აყენებს ორი ქვეყნის ურთიერთობას. ამაში, კერძოდ, ვლინდება ორივე ქვეყნის და მათი პრეზიდენტების ღრმა დაინტერესება თანამშრომლობის მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევის საქმეში. ითქვა აგრეთვე ისიც, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კასპიის ზღვაზე სარკინიგზო საბორნე გადასასვლელის მშენებლობას, რომელიც, შედარებით ახლო მომავალში, ერთმანეთს დაუკავშირებს ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის რკინიგზათა ქსელებს. ეს პროექტი ითვალისწინებს შესაძლებლობათა არსებით გაფართოებას ყაზახეთიდან და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებიდან დასავლეთის მიმართულებით ტვირთზიდვის, მათ შორის „მშრალი“ გადაზიდვის დარგში. ყაზახეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის პერსპექტივები მრავალფეროვანია, და ეს სულაც არ არის, უბრალოდ, ოცნება ან უტოპია. „ჩვენ, ორი ქვეყნის პრეზიდენტებს, მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ვიმუშაოთ ერთად ამ იდეათა განხორციელებისათვის“ — განაცხადა ნურსულთან ნაზარბაევმა. კერძოდ, ამ საკითხისადმი ყაზახეთის საქმიანი მიდგომა ვლინდება იმითაც, რომ ნაზარბაევმა მიიღო ოფიციალური გადაწყვეტილება და შეუერთდა სარაჰსის შეთანხმებას.

თავის მხრივ, ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა ყაზახეთის პრეზიდენტს „მიწვევისა და საოცარი სტუმართმოყვარეობისათვის, აგრეთვე იმ გადაწყვეტილებებისათვის, რომელთა შეთანხმება მოხერხდა ერთად. საქართველოს პრეზიდენტმა „ჭეშმარიტი მოვლენა“, „უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენა“ უწოდა ენერგიამშენებელთა ტრანსპორტირების შესახებ დადებულ ხელშეკრულებას. „მე მას საუკუნის პროექტს ვუწოდებდი“, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ. საქართველოს პრეზიდენტმა ამ და სხვა ხელმოწერილ დოკუმენტებს უწოდა „საქართველოსა და ყაზახეთს შორის მეგობრული ურთიერთობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცების გარანტი“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დამყარებულია სანიმუშო ურთიერთობა და სანიმუშო თანამშრომლობა“, — ასეთი შეფასება მისცა მან როგორც ვიზიტის პირველ დღეს, ისე, მთლიანად, საქართველო — ყაზახეთის ურთიერთობის ხასიათსა და შინაარსს.

პრეზიდენტებმა ნ. ნაზარბაევმა და ე. შევარდნაძემ უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებს.

* * *

12 ნოემბერს ნაშუადღევს ედუარდ შევარდნაძე და საქართველოს დელეგაციის წევრები ყაზახეთის დედაქალაქიდან მიემგზავრებიან ბაქოში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ კასპიის ნავთობის მოპოვებასთან და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული „საუკუნის პროექტის“ განხორციელების დაწყების გამო გამართულ ზეიმში. აქ დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრები აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ჰეიდარ ალიევთან, აგრეთვე თურქეთის პრემიერ-მინისტრთან მესუდ იილმაზთან, ამ ზეიმის მონაწილე სხვა ქვეყნების ხელმძღვანელებთან.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ყაზახეთის რესპუბლიკისა და საქართველოს დეკლარაცია

თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ

(პირველი გვერდიდან)

1. მხარეები დარწმუნებული არიან, რომ ურთიერთობის განვითარება თანასწორობის, დამოუკიდებლობისა და ერთმანეთის სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპების საფუძველზე სახავს ახალ შესაძლებლობებს ორივე მხარისათვის საინტერესო ყველა სფეროში ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის უფრო მაღალი დონის მიღწევისათვის;

2. მხარეები ერთმანეთს გაუწევენ ყოველმხრივ დახმარებას ავტორიტეტულ საერთაშორისო და რეგიონულ სტრუქტურებში მათი ინტეგრაციის საქმეში, თავიანთი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით;

3. მხარეებს მიაჩნიათ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, სხვა საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების ფუძემდებელ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული პრინციპების თანამიმდევრული დაცვა ევროპულ სივრცეში ნდობისა და უშიშროების განმტკიცების, ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია;

4. მხარეები დიდად აფასებენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ლისაბონის სამიტის დოკუმენტებს, გამოთქვამენ რწმენას, რომ ისინი ხელს შეუწყობენ კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებას, რაც საიმედო გარანტიას შეუქმნის უშიშროებასა და ნდობას მთელს ევრაზიულ სივრცეში;

5. მხარეებს დაუშვებლად მიაჩნიათ კონტინენტზე დაყოფის ახალი ხაზების გაჩენა და მსოფლიოში ნდობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროსათვის ძირის გამოთხრა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ნატოს პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს რეგიონში უშიშროებისა და სტაბილურობის განმტკიცებაში;

6. მხარეები დარწმუნებული არიან, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების საწინდარია სახელმწიფო სუვერენიტეტის, თანასწორუფლებიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, სადაო საკითხების მშვიდობიანი მოგვარების პრინციპების, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დაცვა;

7. მხარეები მკაცრად გმობენ აგრესიის აქტებს, სეპარატიზმსა და ტერორიზმს მათი ნებისმიერი ფორმითა და გამოვლინებით, რომლებიც საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობასა და უშიშროებას, დესტაბილიზაციას უქმნიან და ძირს უთხრიან სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლებს და გამიზნულია ადამიანის უფლებების და ძირითადად თავისუფლებათა წინააღმდეგ;

8. ყაზახეთი გაგებით ეკიდება საქართველოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს სახელმწიფოს ერთიანობის მიღწევისათვის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მიიჩნევს უმნიშვნელოვანეს პირობად კავკასიაში მშვიდობის დამყარებისა და უშიშროების განმტკიცებისათვის;

9. მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში და ესწრაფვიან სრულყონ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საქმიანობა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების საფუძველზე და ეროვნული ინტერესების შესაბამისად;

10. მხარეები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს შავი ზღვის და კასპიის ზღვის აუზების ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას;

11. მხარეები მიიღებენ ზომებს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის, როგორც რეგიონალური თანამშრომლობის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორის პრაქტიკული განხორციელებისა და ფუნქციონირებისათვის.

მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ნახშირწყალბადიანი რესურსების მარაგის ეფექტიან გამოყენებას, ნავთობ-გაზის დარგში თანამშრომლობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

საქართველო მხარს უჭერს ყაზახეთის რესპუბლიკის მისწრაფებას განავითაროს საიმედო და ეფექტიანი გზები საერთაშორისო ბაზრებზე თავისი ნახშირწყალბადიანი რესურსების ტრანსპორტირებისათვის და აცხადებს, რომ ყაზახეთის რესპუბლიკას შეექმნება ხელსაყრელი პირობები საქართველოს ტერიტორიაზე მისი ტრანზიტისათვის;

12. ანიჭებენ რა დიდ მნიშვნელობას ინტეგრაციას მსოფლიო ვაჭრობის სისტემაში, მხარეები აღნიშნავენ, რომ საჭიროა კიდევ უფრო სრულად და ინტენსიურად იქნეს გამოყენებული მათი ურთიერთობის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომელიც ეფუძნება გენერალურ შეთანხმებას ტარიფებზე და ვაჭრობაზე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპებს. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ტრადიციული სამეურნეო კავშირურთიერთობის აღდგენას ახალ დონეზე;

13. ხელმძღვანელობენ რა ორმხრივი სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზით, ურთიერთობის პოტენციალით, აგრეთვე თავიანთი ეროვნული ინტერესებით, მხარეებს შეგნებული აქვთ რომ საჭიროა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი თანამშრომლობას ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგში;

14. ხელმძღვანელობენ იმით, რომ შეგნებული აქვთ ჩვენი ხალხების ტრადიციულად მეგობრული ურთიერთობა, როგორც ისტორიის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი და მისი შენარჩუნების საჭიროებით მხარეები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს საქართველოში მცხოვრები ყაზახების და ყაზახეთში მცხოვრები ქართველების თვითმყოფადობის განვითარებას, აგრეთვე თავიანთ კულტურათა მონაპოვრების გამოყენების, თავიანთი რელიგიის აღსარების, კერძო ცხოვრებასა თუ საჯაროდ თავიანთი ენის თავისუფლად გამოყენების უზრუნველყოფას;

15. მხარეები რეგულარულად გაუზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებასა და ინფორმაციას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ, მათ ქვეყნებში ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში განხორციელებულ რეფორმათა მიმდინარეობის თაობაზე;

16. მხარეები ხელს შეუწყობენ საპარლამენტთაშორისო კავშირურთიერთობის განვითარებას, თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას როგორც საკანონმდებლო საქმიანობის სფეროში, ისე დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირების საქმეში.

აღსრულებულია ქ. ალმათიში, 1997 წლის 11 ნოემბერს, ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და ყაზახურ ენებზე, თანაც ყველა ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი
ნურსულთან ნაზარბაევი.

პარლამენტი

ვიდრე დღის წესრიგს დაამტკიცებდნენ

პარლამენტის საზღვაო ქვეკომიტეტის თავმჯდომარის პეტრე ბერაიას განცხადებით საქართველოს საზღვაო ტრანსპორტი მეტად ძვირფასი შენაძენით — საოკეანო ლაინერით შეივსო.

„სახალხო ფრაქციამ“ მოითხოვა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც შეისწავლის „კოკა-კოლა ბოთლერ ჯორჯიას“ საქმიანობას, საქართველოსადმი მიყენებულ და მის დაუბრუნებელ სახელმწიფო ვალებს. ფრაქციის ლიდერის მამუკა გიორგაძის განცხადებით ამის საფუძველს წარმოადგენს კონტროლის პალატის, პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის, სხვა ოფიციალურ სტრუქტურათა დასკვნები. ამასთან დაკავშირებით პარლამენტარმა გურამ შარაძემ აღნიშნა, რომ ეროვნული თვალსაზრისით დამღუპველია „კოკა-კოლას“ საქმიანობა ჩვენი ქვეყნისათვის. დაინგრა ქართული ლიმონათის მრეწველობა, რის გამოც მოიშალა სოფლის მეურნეობაში ხილის წარმოება, რომელიც ლიმონათის მრეწველობის ძირითად პროდუქციას წარმოადგენს. დიდი საფრთხე ემუქრება ცნობილ „ლაღიძის წყლებს“. ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ დეპუტატებს შეუძლიათ პროცედურის თანახმად დასვან კომისიის შექმნის საკითხი.

„სახალხო ფრაქციის“ მოთხოვნით კენჭი უყარეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან საქართველოს გამოსვლის შესახებ საკითხის დღის წესრიგში შეტანას. მიუხედავად იმისა, რომ მომხრე იყო 65 პარლამენტარი, წინააღმდეგი — 60, საკითხი დადებითად არ გადაწყდა, ვინაიდან რეგისტრაცია 143-მა დეპუტატმა გაიარა. „სახალხო ფრაქციის“ წინადადებას კი დამსწრეთა უმრავლესობამ არ დაუჭირა მხარი.

ამის შემდეგ პარლამენტმა დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი, რომლის მიხედვითაც მიმდინარე პლენარულ კვირას დეპუტატებმა 37-მდე საკითხი უნდა განიხილონ.

პარლამენტმა დაადასტურა პარლამენტის წევრის ალექსანდრე ჯავახიშვილის სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მისი გარდაცვალების გამო.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

კანონშემოქმედებითი საქმიანობა გრძელდება

ამავე პლენარულ სხდომაზე საქართველოს პარლამენტმა კანონშემოქმედებითი საქმიანობა „რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის განხილვით დაიწყო.

კანონპროექტში ცვლილებები და დამატებები გამოწვეულია საქართველოს კონსტიტუციის 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული ნორმატიული აქტები კონსტიტუციასთან და კანონებთან შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი. წარმოდგენილი კანონპროექტი პარლამენტმა გამარტივებული წესით — ერთი მოსმენით ერთხმად მიიღო. გარდა იმისა, რომ შეიცვალა კანონის სახელწოდება — ეწოდება „სარკინიგზო ტრანსპორტის შესახებ“, მასში შევიდა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

პარლამენტმა გამარტივებული წესით — ერთი მოსმენით მიიღო კანონპროექტი „ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

ორგანული კანონის — „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“, რომელიც პარლამენტმა ამ დღეს სამივე მოსმენით მიიღო, მიზანია მოაწესრიგოს საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში საკუთრების ჩამორთმევა მისი ღირებულების გადახდით. კანონში განისაზღვრა გადაუდებელი აუცილებლობის ცნება. გადაწყვეტილებას საკუთრების ჩამორთმევის შესახებ იღებს საქართველოს პრეზიდენტი. აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულება, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანო ან მმართველობის ადგილობრივი ორგანო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც იმყოფება საკუთრების ობიექტი.

პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საზოგადოებრივ გაერთიანებათა აკრძალვის შესახებ“. მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ კონსტიტუციის შესაბამისად საზოგადოებრივი გაერთიანებების აკრძალვის უფლება ამ კანონის მიღების შემდეგ ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ექნება მხოლოდ სასამართლოს.

პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო კანონპროექტი „იმპიჩმენტის შესახებ“ და ამასთან დაკავშირებით ცვლილებები შეიტანა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონში.

უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ განიხილა და პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, რომელიც წარმოადგინა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ. კანონპროექტის მიზანია მოაწესრიგოს ურთიერთობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

11 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე პარლამენტმა მოახდინა რამდენიმე შეთანხმების რატიფიკაცია. მათ შორის საქართველოს მთავრობასა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას შორის — „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და შემოსავლისა და კაპიტალზე გადასახადის გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“. საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის — „კულტურისა და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის — „მოქალაქეთა პენსიით უზრუნველყოფის სფეროში უფლებების გარანტიებზე“ და სხვა.

საქართველოს პარლამენტი აუქმებს სიკვდილით დასჯას

1997 წლის 11 ნოემბერი ამიერიდან მნიშვნელოვან თარიღად შევა საქართველოს ისტორიაში. ამ დღეს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების — სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ“. ეს არის საქართველოს ჰუმანური ნების უდიდესი და უმნიშვნელოვანესი გამოხატულება.

კანონის პრეამბულაში წერია: „ხელმძღვანელობენ რა იმ პრინციპით, რომ სიცოცხლე წარმოადგენს უზენაეს ღირებულებას, და აგრეთვე, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ჰუმანური ტრადიციებით, საქართველოში დემოკრატიის შემდგომი განმტკიცების აუცილებლობით, ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისაკენ საქართველოს სწრაფვით, საქართველოში სიკვდილით დასჯის აღსრულებაზე მორატორიუმის მოქმედების გამოცდილებით, საქართველოს აწმყოსა და მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობის შეგნებით, საქართველოს პრეზიდენტი გამოდის ინიციატივით, ხოლო საქართველოს პარლამენტი მხარს უჭერს რა ამ ინიციატივას, აცხადებს სიკვდილით დასჯას გაუქმებულად“. კანონის მომხრე იყო 148 დეპუტატი, წინააღმდეგი — 1.

პარლამენტის დადგენილებით, შესაბამისი ცვლილებები შევიდა საქართველოს საკანონმდებლო აქტებში: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, სასჯელთა აღსრულების კოდექსი.

სასჯელის უმაღლეს ზომად შემოღებულია „უვადო თავისუფლების აღკვეთა“.

საქინფორმი.

ვიზიტად — დიდ ბრიტანეთში

გუშინ დაიწყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის ოფიციალური ვიზიტი დიდ ბრიტანეთში, რომელიც 14 ნოემბრამდე გასტანს. ვიზიტის დროს ირაკლი მენაღარიშვილი შეხვდება დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრს, საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სახელმწიფო მდივანს, „ბრითიშ ქაუნსილის“ გენერალურ მდივანს, ტრანსპორტის საპარლამენტო და საერთაშორისო განვითარების სახელმწიფოს მდივანს, საექსპორტო კრედიტების დეპარტამენტის დირექტორს, ვაჭრობის, თავდაცვისა და კულტურის მინისტრებს.

წითელი მიწის კარიერი ამუშავდება

საქართველოს მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენლები შეხვდნენ ყოფილი სამხრეთ ოსეთის სოფელ ერედვის გამგეობის ხელმძღვანელობას. დასახეს ადგილობრივი ნედლეულის, კერძოდ, წითელი მიწის (პემზა) კარიერის რეალური ამოქმედების პერსპექტივა. ამ საწარმოს ბაზაზე 1992 წლამდე მუშაობდა ერედვის სამშენ მასალათა კომბინატი. ერედვის გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად შედგა შეხვედრა ცხინვალში, უღიარებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენლებთან.

მუშაობენ ერთობლივი საწარმოს შესაქმნელად

აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ირანთან ქალაქ ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების აწყობა-რეალიზაციისა და მიკროძრავების ერთობლივი საწარმოს შექმნის საკითხებზე. ამ დღეებში ირანის წარმომადგენლებმა მიიღეს ასი ცალი მოტობლოკი, ამდენივე კიდევ მზადდება. მთელი პროგრამა კი 2 ათას ცალს მოიცავს. ვარაუდობენ, რომ ეს მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდება. მიმდინარეობს მოლაპარაკება ირანის მიერ რუსთავის ქიმიური კომბინატისათვის ფენოლის, ხოლო საქართველოდან ირანში პოლიამიდის მიწოდების თაობაზე.

საქართველოს კულტურის დღეები — პრაღაში

ხვალ ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გაიხსნება საქართველოს კულტურის დღეები, რომელიც დაახლოებით 10 დღეს გასტანს. დაგეგმილია სპექტაკლებისა და კონცერტების გამართვა, შეხვედრა პოლიტიკურ მოღვაწეებთან.

გაიხსნა გამოფენა

გუშინ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების გამოჩენილ მხატვართა მიერ 20-იან წლებში შესრულებული გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა. გახსნაზე სიტყვა წარმოთქვეს მუზეუმის დირექტორმა ნოდარ ლომოურმა, მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ გოგი ოჩიაურმა, ზურაბ ლეჟავამ, თამაზ სანიკიძემ და მხატვართა კავშირის სხვა წევრებმა. ნოდარ ლომოურმა აღნიშნა, რომ დარბაზში წარმოდგენილი კომპოზიციები არის მცირე ნაწილი იმ ნამუშევრებისა, რომლებიც მუზეუმის საცავშია. გამოფენის ორგანიზატორია მუზეუმის განყოფილების გამგე ლია დოლაბერიძე. ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების მხატვართა მიერ შესრულებული ნამუშევრების გამოფენა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ერთ კვირას გასტანს.

გასწორება

ჩვენი გაზეთის 1997 წლის 11 ნოემბრის მეორე გვერდზე დაბეჭდილი ინტერვიუს მე-6 სვეტის მეორე აბზაცის ბოლოდან მე-10-მე-8 სტრიქონები უნდა იკითხებოდეს ასე: „აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში საქართველოს პოზიციას მხარი დაუჭირეს“... შემდეგ როგორც ტექსტშია.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „ბეამ“, „იბერიამ“.

საქართველოს კანონი

საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

ეს კანონი ადგენს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენის, აღკვეთისა და კორუფციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებსა და სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლებს.

მუხლი 2.

ამ კანონის მიზნებისათვის, „თანამდებობის პირში“ იგულისხმებიან შემდეგი პირები: საქართველოს პრეზიდენტი; საქართველოს პარლამენტის წევრი; აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები; აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები; საქართველოს მინისტრი და მისი მოადგილე; საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო ინსპექციის უფროსი და მათი მოადგილეები; საქართველოს სამინისტროს ბიუროს, დეპარტამენტისა და მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელები; საქართველოს შინაგან საქმეთა, უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები; საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის და საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, აგრეთვე რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის საგადასახადო და საბაჟო სამსახურების უფროსები; საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი და მისი მოადგილე; საქართველოს სამხედრო კომისარი, რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის სამხედრო კომისრები; საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, მოადგილე და პრეზიდიუმის წევრი; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრი; საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრი; საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი; საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული და მისი მოადგილე; რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები; რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი პირველი მოადგილეები; მოსამართლე; საქართველოს გენერალური პროკურორი და მისი მოადგილე; საქართველოს გენერალური პროკურატურის სამმართველოს უფროსი, რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის პროკურორები; საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მითითების საფუძველზე არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული სხვა პირი.

მუხლი 3.

1. „კორუფცია საჯარო სამსახურში“ არის თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემა ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა.

2. „კორუფციული სამართალდარღვევა“ არის ქმედება, რომელიც შეიცავს კორუფციის ნიშნებს და რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

3. ინტერესთა შეუთავსებლობა საჯარო სამსახურში“ არის თანამდებობის პირის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირება სახელმწიფო სამსახურის ინტერესებთან.

მუხლი 4.

ამ კანონის მიზნებისათვის:

ა) „ოჯახის წევრში“ იგულისხმება პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი;

ბ) „ახლო ნათესავში“ იგულისხმება პირის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, გერი, და-ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები.

მუხლი 5.

ამ კანონის მიზნებისათვის:

ა) „საჩუქარი“ არის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ნებისმიერი ქონება ან ქონებრივი ვალდებულებისაგან განთავისუფლება, აგრეთვე იმ პირის მიერ აშკარად შეღავათიანი პირობებით გაწეული მომსახურება, რომელიც ასეთი მომსახურებისათვის, ჩვეულებრივ, იღებს გასამრჯელოს;

ბ) სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადაცემული გრანტი, სტიპენდია, ჯილდო ან პრემია საჩუქრად არ ჩაითვლება.

3. თანამდებობის პირისათვის ახლო ნათესავის მიერ გადაცემული საჩუქარი, აგრეთვე სხვა პირის მიერ საჩუქრად გადაცემული ნაბეჭდი გამოცემები, გარდა ისტორიული ან ბიბლიოგრაფიული ღირებულების მქონე გამოცემებისა, ამ კანონის მიხედვით, შეზღუდვას არ ექვემდებარება.

მუხლი 6.

ამ კანონის მიზნებისათვის, „საწარმოს კონტროლში“ იგულისხმება პირის (ორგანოს) უფლებამოსილება კონკრეტული საწარმოს „მეწარმის“ მიმართ, რომ მან პირადად ან თავისი სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირის მეშვეობით შეამოწმოს საწარმოს (მეწარმის) საქმიანობა, ან დაუწესოს სამეწარმეო საქმიანობაში რაიმე შეზღუდვა ან შეღავათი, ანდა გასცეს ლიცენზია, სერტიფიკატი ან სხვაგვარი ნებართვა მის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით.

თავი II
მოქმედების შეზღუდვა

მუხლი 7.

თანამდებობის პირს უფლება არა აქვს საჯაროსამსახურებრივი უფლებამოსილება ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა გამოიყენოს საჯარო სამსახურის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც არ განეკუთვნება მის საჯაროსამსახურებრივ უფლებამოსილებას.

მუხლი 8.

თანამდებობის პირს უფლება არა აქვს გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნებისათვის გამოიყენოს სამსახურებრივი საიდუმლოების შემცველი ან სხვაგვარი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის საჯაროობაც შეზღუდულია მოქმედი კანონმდებლობით და რომელიც მისთვის ცნობილი გახდა საჯარო სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

მუხლი 9.

1. თანამდებობის პირს, რომელიც საჯარო სამსახურის გამო ვალდებულია უფასოდ გასწიოს მომსახურება ან მიიღოს გადაწყვეტილება, უფლება არა აქვს ამისათვის მიიღოს ან მოითხოვოს ანაზღაურება ქონებრივი ან სხვა სიკეთის სახით.

2. თანამდებობის პირს, რომელიც საჯარო სამსახურის გამო ვალდებულია ოფიციალური წესით დადგენილი ოდენობის საფასურად გასწიოს მომსახურება ან მიიღოს გადაწყვეტილება, უფლება არა აქვს ამისათვის მიიღოს ან მოითხოვოს უფრო დიდი ოდენობის ანაზღაურება.

3. თანამდებობის პირს უფლება არა აქვს მიიღოს რაიმე ანაზღაურება სახაზინო დაწესებულების მიერ შექმნილი ან მოპოვებული ინფორმაციის, ან ამ ინფორმაციის საფუძველზე მომზადებული ნაშრომის, მოხსენების ან სხვა მასალის გამოქვეყნებისათვის.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია საჯაროა და მისი მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

მუხლი 10.

1. თანამდებობის პირს უფლება არა აქვს ქონებრივი გარიგება დადოს იმ სახაზინო დაწესებულებასთან, რომელშიც მას უკავია თანამდებობა.

2. თანამდებობის პირს უფლება არა აქვს თავის ახლო ნათესავთან ან მის წარმომადგენელთან დადოს ქონებრივი გარიგება, როგორც საჯარო მოხელემ.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით დადებული გარიგება ბათილია.

მუხლი 11.

1. თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობაა კოლეგიური ორგანოს შემადგენლობაში იმ გადაწყვეტილების მიღება, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს, ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს ამ ორგანოს სხვა წევრებს ან თავის უშუალო ხელმძღვანელს, ამასთან, უარი განაცხადოს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობაზე.

2. თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობაა იმ გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღება, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს, ვალდებულია განაცხადოს თვითაცილების შესახებ და ამის თაობაზე წერილობით აცნობოს თავის უშუალო ხელმძღვანელს (ხელმძღვანელ ორგანოს), რომელიც ან თვითონ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას ან სხვა თანამდებობის პირს აკისრებს ამ მოვალეობას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამდებობის პირს გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერა შეუძლია მხოლოდ თავისი უშუალო ხელმძღვანელის (ხელმძღვანელი ორგანოს) წერილობითი ნებართვის საფუძველზე, რის შესახებაც გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტზე, საქართველოს პარლამენტის წევრზე, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებზე.

მუხლი 12.

1. თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს უფლება აქვს მიიღოს საჩუქარი, თუ ერთი წლის განმავლობაში, მიღებული საჩუქრების საერთო ღირებულება არ აღემატება საარსებო მინიმუმის ოცმაგ ოდენობას.

2. თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს უფლება არა აქვს მიიღოს საჩუქარი სხვა ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანოსაგან ან დაწესებულებისაგან ან მათი წარმომადგენლობებისაგან, გარდა სიმბოლური ნიშნისა ან სუვენირისა საოქმო ან სხვა ოფიციალური ღონისძიების ჩატარების დროს. ამ შემთხვევაში ერთი წყაროდან მიღებული საჩუქრის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საარსებო მინიმუმის ოდენობის ნახევარს.

3. თანამდებობის პირს, მის ახლო ნათესავს უფლება არა აქვს:

ა) მიიღოს საჩუქარი, გადაცემული ამ თანამდებობის პირის სამსახურებრივი მდგომარეობის გამო;

ბ) მიიღოს საჩუქარი იმ პირისაგან, რომელთან დაკავშირებული საკითხიც ამ თანამდებობის პირმა განიხილა, იხილავს ან წინასწარ ცნობილია, რომ უნდა განიხილოს საჯაროსამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების გამო;

გ) მიიღოს საჩუქარი ამ თანამდებობის პირის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირისაგან, თუ იგი მიღებული არ არის ისეთ განსაკუთრებულ მოვლენასთან დაკავშირებით, როდესაც საჩუქრის გადაცემა მიღებულია საზოგადოებაში. ამ შემთხვევაში თანამდებობის პირის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირისაგან მიღებული საჩუქრის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საარსებო მინიმუმის ოდენობის ნახევარს.

4. თანამდებობის პირი, მისი ახლო ნათესავი ვალდებულია, საჩუქარი, რომლის მიღების უფლებაც მას კანონით აკრძალული აქვს, ამ საჩუქრის მისთვის უშუალოდ გადაცემის მომენტიდან ან იმ მომენტიდან, როდესაც მან შეიტყო მისთვის საჩუქრის გადაცემის შესახებ, 72 საათის განმავლობაში დაუბრუნოს იმ პირს, რომლისგანაც მიიღო იგი, ან გადასცეს სახელმწიფო ხაზინას ან სახაზინო დაწესებულებას.

5. თუ საჩუქრის ღირებულების დასადგენად საჭიროა სპეციალური შეფასება, იანგარიშება მისი მიახლოებითი (ათპროცენტიანი ცდომილების ფარგლებში) საბაზრო ღირებულება.

თავი III
თანამდებობრივი შეუთავსებლობა

მუხლი 13.

1. თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხებს აწესრიგებს საქართველოს კონსტიტუცია, ორგანული კანონი, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები.

2. ამ კანონის III თავით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება იმ თანამდებობის პირზე (მისი ოჯახის წევრზე), რომლის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხსაც აწესრიგებს საქართველოს კონსტიტუცია ან ორგანული კანონი.

3. თანამდებობის პირს უფლება არა აქვს ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა, ან ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე სხვა სახაზინო დაწესებულებაში ან სახაზინო საწარმოში, ან ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს ან ეკავოს რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში.

4. თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს უფლება არა აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა ან ასრულებდეს რაიმე სამუშაოს საქართველოში რეგისტრირებულ იმ საწარმოში, რომლის სამეწარმეო საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

5. თანამდებობის პირს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე საწარმოში.

6. თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს უფლება არა აქვს ფლობდეს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომლის საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

7. თანამდებობის პირს უფლება არა აქვს იყოს რომელიმე ფიზიკური ან იურიდიული პირის წარმომადგენელი ან რწმუნებული, ან განახორციელოს წარმომადგენლობა ან დაცვა სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში რომელიმე სახაზინო დაწესებულების წინაშე ან წინააღმდეგ, იმ შემთხვევის გარდა, როცა იგი არის ამ ფიზიკური პირის მეურვე ან მზრუნველი.

8. თანამდებობის პირის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ თანამდებობაზე საჯარო მოხელედ არ შეიძლება დაინიშნოს ამ პირის ახლო ნათესავი, კონკურსის წესით დანიშვნის გარდა. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემების დაწესებულებებში მომსახურე პირებზე.

9. თანამდებობის პირი, მისი ოჯახის წევრი ვალდებულია ამ თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის დაკავებიდან 10 დღის ვადაში, თუ კონსტიტუციით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გადადგეს შეუთავსებელი თანამდებობიდან, შეწყვიტოს შეუთავსებელი საქმიანობა.

10. თანამდებობის პირი თავისი და თავისი ოჯახის წევრის შეუთავსებლობის აღმოფხვრის დამადასტურებელ საბუთებს წარუდგენს იმ ზემდგომ თანამდებობის პირს (ორგანოს), რომლის უშუალო დაქვემდებარებაშიც იგი იმყოფება, აგრეთვე კადრების შესაბამის სამსახურს.

11. თანამდებობის პირი, თუ ის ან მისი ოჯახის წევრი დაარღვევს ამ კანონით გათვალისწინებულ თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს, დაუყოვნებლივ, თუ კონსტიტუციით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, უნდა განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

თავი IV
ეკონომიკური ინტერესების განცხადება და გამოქვეყნება

მუხლი 14.

1. თანამდებობის პირი ვალდებულია თანამდებობის დაკავებიდან ერთი თვის ვადაში შეავსოს და წარადგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

2. თანამდებობის პირი ვალდებულია თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში ყოველი წლის 1 იანვრიდან 31 იანვრამდე შეავსოს და წარადგინოს ქონებრივი მდგომარეობის და საფინანსო დეკლარაციები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესი არ ვრცელდება იმ მოსამართლეებზე, რომელთათვისაც ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვადა განსაზღვრულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

4. თანამდებობის პირი ვალდებულია თანამდებობის დატოვებიდან ერთი თვის ვადაში შეავსოს და წარადგინოს ქონებრივი მდგომარეობის და საფინანსო დეკლარაციები.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თანამდებობის პირი თავისუფლდება დეკლარაციების შევსებისა და წარდგენის ვალდებულებისაგან, თუ მან თანამდებობა დატოვა ისეთ თანამდებობაზე არჩევის, დანიშვნის ან დამტკიცების გამო, რომელზე მყოფი პირისთვისაც, ამ კანონის შესაბამისად, დეკლარაციების შევსება სავალდებულოა.

6. დეკლარაციები წარედგინება თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს.

7. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის და საფინანსო დეკლარაციები შეივსება ამ კანონის დანართებით გათვალისწინებული ფორმების მიხედვით.

მუხლი 15.

1. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია უნდა შეიცავდეს ამომწურავ ინფორმაციას:

ა) საქართველოში თუ სხვა ქვეყანაში მის და მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთების საერთო ღირებულების შესახებ, აგრეთვე იმ უძრავი და მოძრავი ნივთების ჩამონათვალს, რომელთაგან თითოეულის ღირებულება აღემატება საარსებო მინიმუმის თხუთმეტმაგ ოდენობას, ნივთის სახეობის, მესაკუთრის, საბაზრო ღირებულების და უძრავი ნივთის ადგილმდებარეობის მითითებით;

ბ) საქართველოში თუ სხვა ქვეყანაში მის და მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ, ფასიანი ქაღალდის სახეობის, მესაკუთრის, ნომინალის და რაოდენობის მითითებით;

გ) საქართველოს თუ სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული შენატანის ან/და ანგარიშის შესახებ, რომლის განკარგვის უფლება აქვს მას და მისი ოჯახის წევრს, დაწესებულების რეკვიზიტების, შენატანის ან/და ანგარიშის სახეობის და განმკარგავი პირის, შენატანზე ან/და ანგარიშზე რიცხული თანხის მითითებით;

დ) მის და მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული იმ ნაღდი ფულადი თანხის შესახებ, რომლის ოდენობა აღემატება საარსებო მინიმუმის თხუთმეტმაგ ოდენობას, ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გარდა, თანხის მესაკუთრის და ოდენობის მითითებით;

ე) საქართველოს თუ სხვა ქვეყნის საწარმოს საქმიანობაში მისი და მისი ოჯახის წევრის მონაწილეობის შესახებ, საწარმოს საქმიანობაში მონაწილე პირის და მონაწილეობის ფორმის, საწარმოს სრული საფირმო სახელწოდების და იურიდიული მისამართის, საწარმოს მარეგისტრირებელი ორგანოს და რეგისტრაციის თარიღის მითითებით;

ვ) საქართველოში თუ სხვა ქვეყანაში მის და მისი ოჯახის წევრის მიერ შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაოს შესახებ, საწარმოს საქმიანობაში მონაწილეობის გარდა, სამუშაოს შემსრულებელი პირის, დაკავებული თანამდებობის ან სამუშაოს შინაარსის და იმ სამსახურის მითითებით, რომელშიც პირს უკავია თანამდებობა ან ასრულებს სამუშაოს;

ზ) საქართველოში თუ სხვა ქვეყანაში მის და მისი ოჯახის წევრის მიერ დადებულ ნებისმიერ მოქმედ ხელშეკრულებაზე, რომლის საგნის ღირებულება აღემატება საარსებო მინიმუმის თხუთმეტმაგ ოდენობას, ამ პუნქტის „ა“ – „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ხელშეკრულებების გარდა, ხელშეკრულების სახეობის, ხელშეკრულების საგნის და მისი ღირებულების, ხელშეკრულების დადების თარიღის და მოქმედების ვადის, აგრეთვე იმ ორგანოს მითითებით, რომელმაც მოახდინა ხელშეკრულების სახელმწიფო რეგისტრაცია ან დამოწმება;

თ) მისი ოჯახის წევრის საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ (გვარი და სახელი, დაბადების ადგილი, წელი, თვე და რიცხვი, ნათესაური ან სხვაგვარი კავშირი).

2. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში შეიტანება მისი შევსების დღისათვის არსებული მონაცემები.

მუხლი 16.

1. თანამდებობის პირის საფინანსო დეკლარაცია უნდა შეიცავდეს ამომწურავ ინფორმაციას:

ა) საქართველოში თუ სხვა ქვეყანაში მის და მისი ოჯახის წევრის მიერ შეძენილი ან/და გასხვისებული იმ უძრავი ან/და მოძრავი ნივთის შესახებ, რომლის ღირებულება აღემატება საარსებო მინიმუმის თხუთმეტმაგ ოდენობას, ნივთის სახეობის, შეძენის ან/და გასხვისების ფორმის და ფასის (საფასურის), უძრავი ნივთის ადგილმდებარეობის და იმ ორგანოს მითითებით, რომელმაც მოახდინა შეძენის ან/და გასხვისების სახელმწიფო რეგისტრაცია ან დამოწმება;

ბ) საქართველოში თუ სხვა ქვეყანაში მის და მისი ოჯახის წევრის მიერ შეძენილი ან/და გასხვისებული ფასიანი ქაღალდის შესახებ, ფასიანი ქაღალდის სახეობის, ნომინალის და რაოდენობის, შეძენის ან/და გასხვისების ფორმის და ფასის (საფასურის), აგრეთვე იმ ორგანოს მითითებით, რომელმაც მოახდინა შეძენის ან/და გასხვისების სახელმწიფო რეგისტრაცია ან დამოწმება;

გ) საქართველოში თუ სხვა ქვეყანაში მის და მისი ოჯახის წევრის მიერ საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში გახსნილი ან/და არსებული შენატანის ან/და ანგარიშის შესახებ, დაწესებულების რეკვიზიტების, შენატანის ან/და ანგარიშის სახეობის და განმკარგავი პირის, შენატანზე ან/და ანგარიშზე რიცხული თანხის, შენატანის ან/და ანგარიშის გახსნის ან/და დახურვის თარიღის, აგრეთვე შენატანიდან ან/და ანგარიშიდან მიღებული შემოსავლის მითითებით;

დ) საქართველოს თუ სხვა ქვეყნის საწარმოს საქმიანობაში მისი და მისი ოჯახის წევრის მონაწილეობის შესახებ, საწარმოს საქმიანობაში მონაწილე პირის, მონაწილეობის ფორმის და დროის მონაკვეთის, საწარმოს სრული საფირმო სახელწოდების და იურიდიული მისამართის, საწარმოს მარეგისტრირებელი ორგანოს და საწარმოს საქმიანობით მიღებული შემოსავლის მითითებით;

ე) საქართველოში თუ სხვა ქვეყანაში მის და მისი ოჯახის წევრის მიერ შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაოს შესახებ, საწარმოს საქმიანობაში მონაწილეობის გარდა, სამუშაოს შემსრულებელი პირის, დაკავებული თანამდებობის ან სამუშაოს შინაარსის, სამუშაოს შესრულების დროის მონაკვეთის და სამუშაოდან მიღებული შემოსავლის, აგრეთვე იმ სამსახურის მითითებით, რომელშიც პირს უკავია (ეკავა) თანამდებობა ან ასრულებს (ასრულებდა) სამუშაოს;

ვ) საქართველოში თუ სხვა ქვეყანაში მის და მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებულ ნებისმიერ საჩუქარზე, საჩუქრის მიმღების და გადამცემის, საჩუქრის სახეობისა და საბაზრო ღირებულების მითითებით;

ზ) საქართველოში თუ სხვა ქვეყანაში მის და მისი ოჯახის წევრის მიერ დადებულ ან/და სხვა, მოქმედ ხელშეკრულებაზე, რომლის საგნის ღირებულება აღემატება საარსებო მინიმუმის თხუთმეტმაგ ოდენობას, ამ პუნქტის „ა“ – „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ხელშეკრულებების გარდა, ხელშეკრულების სახეობის, ხელშეკრულების საგნის და მისი ღირებულების, ხელშეკრულების დადების ან/და შეწყვეტის თარიღის და მოქმედების ვადის, ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგის და იმ ორგანოს მითითებით, რომელმაც მოახდინა ხელშეკრულების სახელმწიფო რეგისტრაცია ან დამოწმება;

თ) სხვა ნებისმიერ შემოსავალზე ან/და გასავალზე, რომლის ოდენობა (ღირებულება) აღემატება საარსებო მინიმუმის თხუთმეტმაგ ოდენობას, ამ პუნქტის „ა“ – „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემოსავლების ან/და გასავლების გარდა, შესაბამისი შემოსავლის ან/და გასავლის ფორმისა და ოდენობის (ღირებულების), აგრეთვე იმ პირის მითითებით, რომელსაც ჰქონდა შემოსავალი ან/და გასავალი;

ი) მისი ოჯახის წევრის საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ (გვარი და სახელი, დაბადების ადგილი, წელი, თვე და რიცხვი, ნათესაური ან სხვაგვარი კავშირი).

2. საფინანსო დეკლარაციაში შეიტანება მისი შევსების თვის პირველ რიცხვამდე ერთი კალენდარული წლის მონაცემები.

მუხლი 17.

1. თუ დეკლარაციაში შესატანი ქონების ღირებულების დასადგენად საჭიროა სპეციალური შეფასება, დეკლარაციაში უნდა მიეთითოს მისი მიახლოებითი (ათპროცენტიანი ცდომილების ფარგლებში) საბაზრო ღირებულება.

2. თუ დეკლარაციაში შესატანი ინფორმაცია განეკუთვნება სახელმწიფო ან სამსახურებრივ საიდუმლოებას ან წარმოადგენს სხვაგვარ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის საჯაროობაც შეზღუდულია მოქმედი კანონმდებლობით, ეს ინფორმაცია აისახება მხოლოდ დეკლარაციის სპეციალურ (საიდუმლო) გრაფაში, შესაბამისი წყაროდან მიღებული ქონების (უძრავი და მოძრავი ქონების, უცხოური და ეროვნული ვალუტის) და ფასიანი ქაღალდების მესაკუთრის, სახეობის, საბაზრო ღირებულებისა და ოდენობის მითითებით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დეკლარაციის შემვსებმა დეკლარაციას უნდა დაურთოს წერილობითი მითითება იმ სამართლებრივ აქტზე, რომლის საფუძველზეც დეკლარაციაში შესატანი ინფორმაცია განეკუთვნება სახელმწიფო ან სამსახურებრივ საიდუმლოებას ან წარმოადგენს სხვაგვარ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის საჯაროობაც შეზღუდულია.

მუხლი 18.

1. დეკლარაციის მიღების, შესაბამისი თანამდებობის პირის ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საჯაროობის და დეკლარაციების დროულად ჩაბარებაზე კონტროლის უზრუნველყოფის, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელების მიზნით საქართველოს კონტროლის პალატასთან იქმნება თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო (შემდგომში — ბიურო), რომელიც უზრუნველყოფს:

ა) თანამდებობის პირის მიერ დეკლარაციის ტექნიკურად სწორად შევსების შესახებ ინსტრუქციის შედგენას;

ბ) თანამდებობის პირის მიერ დეკლარაციის ფორმის დაუბრკოლებლად მიღებას;

გ) შევსებული დეკლარაციის მიღებასა და შენახვას;

დ) დეკლარაციის შინაარსის საჯაროობას;

ე) ამ კანონის მე-2 მუხლში მოცემული ჩამონათვალის საფუძველზე იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის შედგენას და საქართველოს პრეზიდენტისათვის დასამტკიცებლად წარდგენას, რომელთათვისაც დეკლარაციების შევსება სავალდებულოა, აგრეთვე რეესტრში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების მომზადებას

იხ. მე-4 გვ.

საქართველოს კანონი

საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ

და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენას;

ვ) კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული სხვა უფლებების განხორციელებას.

2. ბიუროს ხელმძღვანელობს ბიუროს თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, 4 წლის ვადით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

3. ბიუროს თავმჯდომარეს თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

4. ბიუროს ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მუშაობის წესს განსაზღვრავს მისი დებულება, რომელსაც ბიუროს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

მუხლი 19.

1. ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს, მიიღოს დეკლარაციის ასლი და გაეცნოს მას, გარდა დეკლარაციის საიდუმლო გრაფისა.

2. არ შეიძლება დაწესდეს რაიმე გადასახადი ან შეიქმნას სხვა დაბრკოლება დეკლარაციის ასლის მისაწვდომ, ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანამდაურების გარდა.

დასასრული. დასაწყისი
იხ. მესამე გვერდზე.

თავი V
პასუხისმგებლობა კორუფციული სამართალდარღვევისათვის

მუხლი 20.

1. ამ კანონის მოთხოვნების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსების შესაბამისად.

2. თანამდებობის პირის მიერ ამ კანონის მოთხოვნების ბრალეული დარღვევა, თუ იგი არ წარმოადგენს სისხლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

3. თუ კორუფციული სამართალდარღვევის ჩამდენი თანამდებობის პირი, რომლის მმართველობა ასეთი ქმედებისათვის გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის მომა, გარდა თანამდებობიდან განთავისუფლებისა, წლის განმავლობაში ჩაიდინს ახალ კორუფციულ ქმედებას, იგი ექვემდებარება სამსახურიდან საეალდებულო განთავისუფლებას.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ერცელდება საქართველოს პრემიერ-მინისტრ, საქართველოს პარლამენტის წევრმე, საქართველოს მთავრობის წევრმე, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებმე, რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის აღგილმრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელებმე.

თავი VI
გარდამავალი დებულებანი

მუხლი 21.

1. ეთხოვოს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, 1997 წლის სამშემოდგომო სესიის დამთავრებამდე საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარის კანდიდატურა.

2. დაევალოს საქართველოს კონტროლის პალატას, 1998 წლის 30 მარტამდე ჩამოაყალიბოს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო.

3. დაევალოს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარეს, 1998 წლის 30 მარტამდე საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგინოს ბიუროს დებულება.

4. თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარემ დებულების დამტკიცებიდან 30 დღის ვადაში შეადგინოს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგინოს იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრი, რომელთათვისაც, ამ კანონის შესაბამისად, ქონებრივი მდგომარეობის და საფინანსო დეკლარაციების შევსება სავალდებულოა.

5. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საარსებო მინიმუმის ოდენობის განსაზღვრამდე, ამ კანონის მიზნებისათვის, საარსებო მინიმუმი განსაზღვროს ასი ლარით.

6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს ხარჯები“ ცალკე პუნქტად გამოყოს საქართველოს ბიუჯეტის კანონში.

7. ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ პირებს ქონებრივი მდგომარეობის და საფინანსო დეკლარაციების ბიუროში წარდგენის ვადა გაუგრძელდეთ 1998 წლის 31 მაისამდე.

8. დაევალოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, 1998 წლის 1 ივნისამდე გამოყოს შენობა თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს.

9. 1998 და 1999 წლებში ამ კანონის IV თავის ამოქმედება გავრცელდეს მხოლოდ საქართველოს პრემიერ-მინისტრზე, საქართველოს პარლამენტის წევრზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებზე და მათ მოადგილეებზე, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მთითითების საფუძველზე არჩეულ, დანიშნულ ან დამტკიცებულ პირებზე და მათ მოადგილეებზე.

თავი VII
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 22.

1. ეს კანონი, IV თავის გარდა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

2. ამ კანონის IV თავი ამოქმედდეს 1998 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.
თბილისი, 1997 წლის 17 ოქტომბერი.

ფურცელი 1.

თანამდებობის პირის ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია _____ წლისათვის

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისა და წარმდგენი პირი: ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის ვალდებულება ეკისრებოდეს ამ თანამდებობის პირსა, რომელიც გაიარეშრებულია თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს მიერ. შედგენილი და სანოტარიალურად მოწმებული ასლი დამტკიცებული რეესტრით.

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარმოადგენი ორგანო და წარდგენის ვადა: ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციი შევსებული შემდეგ, ნარდგენება თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თანამდებობის დაკავების და თანამდებობის დატოვების დღიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში, აგრეთვე თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ყოველწლიურად 1-დან 31 იანვრამდე.

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის დღედ ითვლება დეკლარაციის საქართველოს კონტროლის პალატის ელექტრონული ანარეტის ან საქართველოს კონტროლის პალატის სარეგისტრაციო ჟურნალში შესაბამისი კონტროლის პალატის ანარეტის დეკლარაციაში ჩანაწერის დღე.

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში შესატანი მონაცემები: ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში შეიტანება მისი შემსებლის ფლობაში არსებული მონაცემები.

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის წესი: დეკლარაციის თითოეული გვერდი შევსებულ ორეულად და ეარეკვეთ, ალინიშნეთ თარიღი ასული და გვარი და ხელმოწერილ დაამოწმეთ დეკლარაციის თითოეული გვერდი ფურცლის ბოლოს საკანონმდებლო გამოყენებულ ადგილს.

ქონებრივი დეკლარაციის, წარმოდგენილია კანონით აღმავალ ეაიდვილ ეაიდვილ ან დეკლარაციაში ყოსაფორი მონაცემების შეტანა გაკეთებულია ეასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173 მუხლით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 206/ მუხლით.

ფურცელი 2.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია _____ წლისათვის

პირადი მონაცემები

სახელი, გვარი: _____
პირადობის მოწმობის ნომერი: _____
სამსახური, დაკავებული თანამდებობა: _____

სამსახურის მისამართი, ტელეფონი: _____

მუშაობად საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონი: _____

სახელი, გვარი: _____ ხელმოწერა: _____

ფურცელი 3.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია _____ წლისათვის

ოჯახი ოჯახის წევრების (მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გვარი, აგრეთვე ოჯახთან ამყოფილ ან ასევე პირი) მონაცემები

გვარი	სახელი	დაბადების ადგილი	დაბადების წელი	დაბადების თვე	დაბადების რიცხვი	ნათესაური ან სხვადასხვა კავშირი

სახელი, გვარი: _____ ხელმოწერა: _____

ფურცელი 4.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია _____ წლისათვის

[illegible]	[illegible]	[illegible]

სახელი, გვარი: _____ ხელმოწერა: _____

ფურცელი 5.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია _____ წლისათვის

[illegible]	[illegible]

სახელი, გვარი: _____ ხელმოწერა: _____

ფურცელი 6.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია _____ წლისათვის

[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]

სახელი, გვარი: _____ ხელმოწერა: _____

ფურცელი 7.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია _____ წლისათვის

[illegible]	[illegible]	[illegible]

სახელი, გვარი: _____ ხელმოწერა: _____

ფურცელი 8.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია _____ წლისათვის

[illegible]	[illegible]

სახელი, გვარი: _____ ხელმოწერა: _____

ფურცელი 9.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია _____ წლისათვის

[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]

სახელი, გვარი: _____ ხელმოწერა: _____

ფურცელი 10.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია _____ წლისათვის

[illegible]	[illegible]	[illegible]

სახელი, გვარი: _____ ხელმოწერა: _____

ფურცელი 11.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია _____ წლისათვის

[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]

სახელი, გვარი: _____ ხელმოწერა: _____

ფურცელი 12.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია _____ წლისათვის

[illegible]	[illegible]	[illegible]

სახელი, გვარი: _____ ხელმოწერა: _____

ვინ იფიქრებდა, რომ ხალხს ოქტომბრის დღესასწაული დაავიწყდებოდა?

დასავლეთის პრესამ რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის 80 წლისთავის აღნიშვნას მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო. როგორც დასავლელი მიმომხილველები აღნიშნავენ, საბჭოთა კავშირის დაშლისა და დასავლური სტილის დემოკრატიის მიუხედავად, რუსეთის კომუნისტები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ დიდი ოქტომბრის იდეები კვლავ ცოცხალია.

თუმცა, რუსეთის კომუნისტთა ლიდერმა, გენადი ზიუგანოვმა მტკიცედ განაცხადა, რომ მსგავსი რევოლუციური ამბოხებები აღარ უნდა მოხდეს. „ჩვენი სახელმწიფო ბირთვულ იარაღს ფლობს, ამიტომ მთელი მსოფლიო საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს“– აღნიშნა მან. ცნობილმა ექსცენტრიკულმა პიროვნებამ, ვლადიმირ ჟირინოვსკიმ უფრო ღრმად შესტოპა და განაცხადა, რომ ნებისმიერი რევოლუცია ამაზრზენია და რადიკალების ხელისუფლების სათავეში მიშვება არ შეიძლება.

მიმომხილველთა თქმით, რუსეთში „სადღესასწაულო“ დღეების აღნიშვნას მშვიდი ტონი პრეზიდენტმა ბორის ელცინმა მისცა თავისი ფრაზით იმის შესახებ, რომ რუსეთში სტაბილური პოლიტიკური ვითარებაა და ახლა რუსი ხალხისათვის შემოდგომა წლის ჩვეულებრივ სეზონად იქცა. ამის მიუხედავად, ძველი ბოლშევიკები ფარ-ხმალს არ ჰყრიან. მათ უკვე დიდი ხნის წინ გააკეთეს არჩევანი რევოლუციასა და შერიგებას შორის. მაგრამ ყოველი მათგანის ასაკი 50 წელს გადასცილდა, ხოლო შედარებით ახალგაზრდები უკვე სხვანაირად ფიქრობენ. 7 ნოემბერს ვიღაც მართლაც სახლში დარჩა და კომბოსტოს დამწნილება დაიწყო (როგორც ეს პრეზიდენტმა შესთავაზა), ხოლო „მაკდონალდსის“ სასადილოებთან შეკრებილი ახალგაზრდები კითხვაზე „რა დღესასწაულია დღეს“ – უპასუხებდნენ, რომ გამარჯვების დღესასწაულია ან კიდევ, რომელიმე წმინდანის სახელობის დღე.

ასე რომ, დასავლეთში დარწმუნებულნი არიან, 7 ნოემბრის „მატჩში“ გამარჯვება „შერიგებას“ ხვდა წილად და შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 1:0 ამბოხებებისა და სისხლისღვრის მოწინააღმდეგეთა სასარგებლოდ.

პროფესორ-მასწავლებლები აბიტურიენტთა წყალობით უმუშევარნი რჩებიან

გერმანელი ექსპერტების ცნობით, ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელთა უმრავლესობას პრობლემები შეექმნა და აღმოჩნდა, რომ ამაში დამნაშავენი არიან არა სამთავრობო დაწესებულებების მოხელენი, არამედ თვით სტუდენტები და აბიტურიენტები. მიმდინარე წელს, ისევე როგორც უკანასკნელ წლებში, ახალგაზრდები საბუთებს გზავნიან ერთდროულად რამდენიმე სასწავლებელში. გამოცდების ჩაბარების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ერთის მაგიერ რამდენიმე სასწავლებელში ჩაირიცხა. აღნიშნულის შედეგად, ხდება ისე, რომ სტუდენტები სასწავლებლად მიდიან იმ დაწესებულებაში, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონთ, ხოლო ინსტიტუტები და უნივერსიტეტები აბიტურიენტების ჩარიცხვისა და სასწავლო გეგმის შედგენის შემდეგ მოსწავლე პერსონალის გარეშე რჩებიან. მარტო მიმდინარე წელს ამგვარი მოქმედების გამო გერმანიის ინსტიტუტებს დააკლდათ 14 ათასი სტუდენტი, ხოლო შტატში აყვანილი მასწავლებლები და პროფესორები სამსახურიდან გაათავისუფლეს. მიმომხილველთა თქმით, თუ არ იქნა მიღებული შესაბამისი ზომები და მომავალ წელსაც იგივე სიტუაცია გამეორდა, მაშინ გერმანიის განათლების სისტემას გარდაუვალი კრიზისი ემუქრება.

სევილიაში მეორედ მოსვლაა

კოკისპირულმა წვიმამ ესპანეთის ქალაქ სევილიაში გამოიწვია უდიდესი ნიაღვრები, დაიტბორა ქუჩები, სახლების ქვედა სართულები. მოვარდნილმა წყალმა ერთმანეთზე მიყარა ავტომობილები.

საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც იგივე ხდება, რაც ჩვენს საქაროში

საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკიდან მოიპარეს ერთ-ერთი უძველესი ნაბეჭდი ატლასი, იუწყება „დეილი ტელეგრაფი“. ქურდმა ხელს გააყოლა პტოლომეუსის „კოსმოგრაფია“, რომელიც 1477 წელს დაიბეჭდა ბოლონიაში. გამოჩენილი ბერძენი მათემატიკოსისა და ასტრონომის პტოლომეუსის მიერ II საუკუნეში დაწერილი „კოსმოგრაფია“ სულ ბოლოს მკითხველზე გაიცა 1 აგვისტოს, ამასთან, ბიბლიოთეკარმა აღნიშნა ტომის გაცემა და უკან დაბრუნება. ექსპერტები რარიტეტს ნახევარ მილიონ გირვანქა სტერლინგად აფასებენ. მათი აზრით, ტრაგედია ის არის, რომ ატლასის მიგნება ძალიან ძნელი იქნება, ვინაიდან ქურდს შეუძლია დაანაწევროს წიგნი და რუკები ცალცალკე გაყიდოს.

ამფითეატრს ექნება უცვლელი კედელი — არარატის მთა

ხორ ვირაპის ეკლესიის დასავლეთ ნაწილში აღიმართება მარმარილოს კედელი, რომელიც მიანიშნებს სომხეთში ქრისტიანობის მიღების 1700 წლისადმი მიძღვნილი მომავალი ამფითეატრის აგების ადგილს (ავტორი – არქიტექტორი აშოტ მანასიანი). მშენებლობის დამთავრება ნავარაუდევია 2001 წლამდე. თავდაპირველად ამფითეატრი დაიტევს 2 ათასამდე კაცს, შემდეგ ბუნებრივი ლანდშაფტის გამოყენებით ადგილების რაოდენობა 10 ათასამდე გაიზრდება. როგორც არტაშატის გუბერნატორმა დავით ზადოიანმა განაცხადა, ამფითეატრი შეწირულობებით აშენდება: თავის წვლილს შეიტანს სომხეთის სამოციქულო ეკლესიაც, მაგრამ მთავარ ხარჯებს არტაშატის ოლქი იკისრებს. ზადოიანის თქმით, შემდგომში აქ გაივლის ტურისტული მარშრუტი არტაშატი – ძინი – კაკაბერთი – გევორგ მარზპეტუნის ეკლესია, და ამრიგად ოლქი გადაიქცევა მსხვილ ტურისტულ ცენტრად. სხვათა შორის, ამფითეატრის მშენებლობის ადგილი შემთხვევით არ აურჩევიათ. როგორც ლეგენდა ამბობს, ჯერ კიდევ ორი ათასწლეულის წინათ აქ ყოფილა ანალოგიური ნაგებობა, სადაც მეფე არტაშეს მეორის დროს ევრიპიდეს „ბაქქელ ქალებს“ ასრულებდნენ.

განიხილავენ სომხეთის ინიციატივას

რუსეთისა და ბელორუსიის საპარლამენტო კრების მორიგი სესია მიმდინარეობს კალინინგრადში. განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა ორგანიზაციის „სომხეთის სახალხო ინიციატივა — რუსეთი, ბელორუსია, სომხეთი“ მიმართვა და უკრაინის უზენაესი რადის დეპუტატთა ფრაქციათაშორისი გაერთიანების განცხადება, რომელშიც მოითხოვენ მათი ქვეყნის შეერთებას კავშირთან.

აზია — ზნეობის უკანასკნელი ბასტიონი

ტელევიზია შეემატა პაკისტანში აკრძალულ გართობათა სიას, ამტკიცებს ბრიტანული გაზეთი „სანდი ტაიმსი“. სამღვდელოების დაჟინებით მთავრობა იძულებული გახდა, აეკრძალა შამპუნის, კბილის პასტისა და საპნის დასავლური სატელევიზიო რეკლამა მოდელების სამოსის მეტისმეტი სიშიშვლისა ან, საერთოდ, არარსებობის გამო. საერთოდ, პაკისტანურ რეკლამაში გამოყვანილ ქალს აუცილებლად უნდა ეცვას ეროვნული კოსტიუმი. ნებისმიერი ულტრამოდური ან ფიგურის მიმანიშნებელი „უხამსი“ კაბები აკრძალულია. მაგრამ არც ეს არის ყველაფერი. გაზეთის ინფორმაციით, მკაცრ ცენზურას გადის მთელი დასავლური კინოპროდუქცია. მაგალითად, მხატვრული ფილმებიდან სჭრიან კადრებს, სადაც ბიკინიანი გოგონები არიან გამოსახული, ხოლო მულტფილმში „ტომი და ჯერი“ ამოვარდა კადრი, სადაც კატა ძაღლს ჰკოცნის.

მალვიძარა მაჰმადიანებისათვის

ბელგიის საათების კომპანიამ გამოუშვა მაღვიძარა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მაჰმადიანებისთვის არის განკუთვნილი. ასეთი მაღვიძარას პატრონს, ქვეყნიერების რომელ ნაწილშიც უნდა იმყოფებოდეს იგი, ყოველთვის ზუსტად ეცოდინება ნამაზის დრო. საათის მექანიზმში ჩადებული პროგრამა ითვლის ლოცვის დროს ადგილობრივი საათობრივი სარტყლის გათვალისწინებით და რთავს სიგნალს — მუეძინის ხმას, რომელიც მართლმორწმუნეებს სალოცავად მოუწოდებს. მუეძინის მოწოდება 2 საათსა და 40 წამს გრძელდება.

კომფორტი მარტოოდენ ჩეხური კაფელი არ ყოფილა

გაზეთი „შვერინერ აბენდბლატი“ აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება ცხოვრების იმ ახალ ევროპულ სტანდარტებს, ევროპის გაერთიანების მომენტიდან რომ უნდა მიიღონ. როგორც გაზეთი აღნიშნავს, როგორც ხელისუფალნი, ისე ევროპული ქვეყნების მეწარმენი ყოველნაირად ცდილობენ დაამყარონ ცხოვრების მაღალი დონე და დაუმტკიცონ მთელ მსოფლიოს, უწინარეს ყოვლისა კი ამერიკას, თავიანთი აშკარა უპირატესობა. „აბენდბლატს“ მაგალითად მოჰყავს ბერლინში ახლახან გამართული პროფესიული გამოფენის შედეგები. გაზეთი იუწყება, რომ გამოფენის შედეგების მიხედვით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ჩაითვალოს კომფორტულად მხოლოდ ის ბინა, რომელშიც ყველა საყოფაცხოვრებო ხელსაწყოს ცენტრალიზებულად მართავს პერსონალური კომპიუტერი. კერძოდ, გაზეთი აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რომლითაც მეწარმეები და მოხელეები ასაბუთებენ ამგვარი სტანდარტების შემოღების აუცილებლობას, არის ელექტრობის დაზოგვა და მოქალაქეებისათვის მაქსიმალური კომფორტის მინიჭება მუშაობისაგან თავისუფალ დროს.

მხოლოდ მოლაპარაკების პროცესის საფუძვლად

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეთა წინადადებები მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების შესახებ სომხეთმა მიიღო მხოლოდ მოლაპარაკების საფუძვლად. არავითარი ოფიციალური დოკუმენტები ამის თაობაზე არ დადებულა, განაცხადა ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე არზუმანიანმა. როგორც მან თქვა, ეს წინადადებანი გათვალისწინებულია განიხილონ მოლაპარაკების პროცესის დროს, მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა, სომხეთი ხელს არ მოაწერს არავითარ დოკუმენტს, რომელიც მისაღები არ იქნება მთიანი ყარაბაღისათვის.

მთიანი ყარაბაღის მხარდასაჭერად

რუსეთის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტმა არკადი ვოლსკიმ მხარი დაუჭირა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების ეგრეთ წოდებულ პაკეტის ვარიანტს. ეს განუცხადა მან ჟურნალისტებს ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე. ამ საკითხზე არკადი ვოლსკის აზრი საინტერესოა თუნდაც იმით, რომ იგი 1989 წლის იანვარ-ნოემბერში ხელმძღვანელობდა სტეფანაკერტში მოსკოვის მიერ შექმნილ მთიან ყარაბაღის მართვის კომიტეტს, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ყარაბაღის პრობლემის გადაჭრისათვის. საგულისხმოა, რომ მოწესრიგების პაკეტის ვარიანტს ამჟამად მთიანი ყარაბაღიც იცავს.

მარტოკაცი ჭამაშია ცოდო, სმაში - არა: თავი არ ასტკივდება

თუ წინა საღამოს ყაყანა სუფრიდან დაბრუნებულს, მძიმე თავის ტკივილით გაგეღვიძებათ, ამას სასმელს ნუ დააბრალებთ, ყველაფერი ეგრეთ წოდებული „ცუდი ბარის“ სინდრომის ბრალია, წერს „მაიამი ჰერალდი“. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, მამაკაცის ქცევას და მიღებული ალკოჰოლის რაოდენობას განაპირობებს ბარში არსებული ვითარება და, განსაკუთრებით, მუსიკა. მაგალითად, მეცნიერთა აზრით, ხმელი მუსიკა ხელს უწყობს სწრაფ თრობას, ხოლო ქანთრის სტილის სიმღერები, პირიქით, ამცირებს მოთხოვნილებას ალკოჰოლზე. უმთავრეს პრობლემად კი მეცნიერები მიიჩნევენ ხალხმრავალ ბარებს. მათი დიდი ფართობი კლიენტების აგრესიულობას იწვევს და ხელს უშლის მოსამსახურეებს, კონტროლი გაუწიონ სიტუაციას. მეცნიერები ღირსეულ ნიმუშად ასახელებენ ინგლისურ პაბებს. ისინი უსაფრთხოც არის, მყუდროც, და, რაც მთავარია, — ნაკლებ ხალხს იტევს.

პრემია „შავი სიყვარულისათვის“

საფრანგეთში გამოაცხადეს ორი პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის ლაურეატი. მედიჩის პრემია მიენიჭა ფილიპ ლე გიიას რომანისათვის „მხატვრის შვიდი სახელი“, ხოლო ფემინის პრემია მიეკუთვნა დომინიკ ნოგეზს, რომან „შავი სიყვარულის“ ავტორს.

„კომპიუტერული გრაფიკა და ანიმაცია — 97“

ერევანში, სომხეთის არქიტექტორთა სახლში, გაიხსნა სომხეთის პირველი ფესტივალი „კომპიუტერული გრაფიკა და ანიმაცია-97“.

— იმისათვის, რომ სომხეთში 21-ე საუკუნეში კომპიუტერი ყოველდღიურ რეალობად იქცეს, აღნიშნა ფესტივალის მონაწილეთა გამოსვლებში, — ქვეყანა ღია უნდა იყოს ინფორმაციისა და ახალი იდეებისათვის. ხოლო ფესტივალზე ორგანიზებული კონკურსი ჩვენი ტექნიკური შესაძლებლობების დონის გამოვლინების საშუალებას იძლევა.

კონკურსში მონაწილეობს 20-ზე მეტი ფირმა, რომლებმაც წარმოადგინეს 62 ნამუშევარი. ამას გარდა, კონკურსგარეშე ერევნის სტუდია „ადა-3“, რომელმაც უკვე მოიპოვა საერთაშორისო აღიარება, წარმოადგინა რამდენიმე თავისი ნამუშევარი, რომლებმაც, აგრეთვე მაღალი მეფასება დაიმსახურეს მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში.

გრაფი ბრედა და ნიკო ბური ადამის უშუალო შთამომავალთ იცავდნენ

მამაკაცის წარმოშობის ახალი ვერსია სათავეს სამხრეთ აფრიკაში იღებს, წერს „სანდი ტაიმსი“. გენეტიკური მასალის — ღნმ-ს (დეზოქსირობინუკლეინმჟავის) თანამედროვე მესწავლაზე დამყარებული თეორიის თანახმად, ადამი 150 ათასი წლის წინათ ცხოვრობდა ერთ ნაკლებადცნობილ სამხრეთაფრიკულ ტომში. საქმე ის არის, რომ იგრეკ-ქრომისომამ, რომელიც მამისაგან მხოლოდ ვაჟიშვილს გადაეცემა, მეცნიერული კვლევის დროს ზუსტად მიანიშნა სწავლულებს პირველი მამაკაცის წარმოშობის დრო და ადგილი. გარდა ამისა, გამოიკვლიეს რა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ათას ხუთასი კაცის იგრეკ-ქრომოსომა, მეცნიერებმა გამოავლინეს კავშირი ადამსა და ამჟამად არსებულ ერთ-ერთ სამხრეთაფრიკულ ტომს შორის. სწავლულთა მტკიცებით, ამ ნახევრად ველური ტომის წარმომადგენლები გენეალოგიური ხის ყველაზე ძველ ტოტს წარმოადგენდნენ.

მთავარია, სახე იყოს დაფარული

ექვსი გრაცია ტოვებს პოდიუმს ტანსაცმლით, რომელიც ჩადრს წააგავს. რა თქმა უნდა, ეს თეირანში არ მომხდარა. ლონდონის „მოდის კვირეულზე“ ამ ექსტრავაგანტური გამოხდომით მიიპყრო ყურადღება სამოდელო ბიზნესის ამომავალმა ვარსკვლავმა ჰუსეინ ჩალაიანმა, კვიპროსელმა თურქმა, რომელიც ინგლისში ცხოვრობს. მაყურებლებს ახალი მოდელები მოეწონათ, მაგრამ მთავარი ის არის, მოუწონებს ალაჰი ჩალაიანს ასეთ კადნიერებას?

...ახლა ლედი დის ძმის ბედზე იტეხე თავი

ბრიტანული „ტაიმსი“ თავის ერთ-ერთ სტატიას უძღვნის ლორდ სპენსერის, დაღუპული პრინცესა დაიანას ძმის, პირად ცხოვრებას. როგორც გაზეთი წერს, სამხრეთაფრიკელმა მოდელმა ჯოზი ბორეინმა უარყო უკანასკნელი ჭორები ლორდ სპენსერთან დაქორწინების შესახებ. ამგვარი მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა ლორდ სპენსერისა და პრინც ჩარლზის ოფიციალური სადილი პრეზიდენტ მანდელასთან ერთად კეიპტაუნში, სადაც დაიანას ძმა ჯოზი ბორეინის თანხლებით მივიდა. გარდა ამისა, აღნიშნავს „ტაიმსი“, ბორეინი ლორდ სპენსერთან ერთად იყო ლედი დაიანას დაკრძალვაზე. ხმები შესაძლო ქორწინების შესახებ კიდევ უფრო დამაჯერებლად ჟღერს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ლორდი სპენსერი თავის ცოლთან, გრაფესა ვიქტორია ლოკვუდთან გაყრის პროცესშია. სხვათა შორის, გათხოვებამდე იგი, ისევე როგორც ჯოზი ბორეინი, სამოდელო ბიზნესში მუშაობდა. მაგრამ განქორწინებას გრაფესა ვიქტორია არ აპირებს — ლორდ სპენსერის ქონება ხომ დაახლოებით 90 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

იქნება დამატებითი სათანამგზავრო არხები

ბაქოში იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციის კავშირგაბმულობისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტის დელეგაცია კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ნაუმ მარდერის მეთაურობით. ვიზიტის დროს განიხილეს საკითხები, რომლებიც შეეხება ორ ქვეყანას შორის სატელეფონო არხების გადიდებას და მათს შეერთებას რუსეთის კომუნიკაციის საერთაშორისო ცენტრებთან. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რუსეთის სახელმწიფო რადიო-სატელევიზიო პროგრამების მაუწყებლობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ დამატებით შექმნან 120 სათანამგზავრო არხი. ხელმოწერილია ოქმი აზერბაიჯანის რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის კავშირგაბმულობისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომლობის შესახებ.

გაბმულხარ, ჩიტო, მახეში...

შემუშავებულია შენობების დაცვის ახალი მოწყობილობა: ჭერში ან კედელზე შეუმჩნევლად დამაგრებული ბადე მყისიერად გამოიტყორცნება და ფარავს მთელ შენობას, თუ გადამწოდი აღმოაჩენს „უსანქციო გადაადგილებას“. ქურდი ბადეში ეხვევა.

მომზადებულია უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას“ მასალების მიხედვით.
გვერდის რედაქტორი
არჩილ მანჯგალაძე.

დიალოგი

გაუცხოება უნდა დავძლიოთ

შემდგომში კი მოგვიწია მოზარდთა შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ მუშაობამ სათანადო უწყებებთან ერთად.

თანდათანობით წარმოიშვა პრობლემები უმუშევარ ქალთა დასაქმებისა და მრავალი სხვა პრობლემა, რამაც განაპირობა ქალთა საბჭოს შექმნის აუცილებლობა.

ჩვენ ამ მიმართულებით ვაგრძელებთ მუშაობას, ამასთანავე, ვცდილობთ პოლიტიკისაგან თავი შორს დავიჭიროთ.

— რამდენი ქალი მოღვაწეობს პარლამენტში და როგორია მათი როლი სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღებასა და რეფორმების განხორციელებაში?

— სწორედ ჩვენი საბჭოს წევრები არიან ის ქალები, რომლებიც მუშაობენ პარლამენტში, მათ მრავალი კორექტივი შეიტანეს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალურად დაცვის სფეროში.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ ქალის როლი უნდა გაძლიერდეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში?

— ჩვენი ორგანიზაცია არ არის პოლიტიკური. ჩვენი მთავარი ამოცანაა დავეხმაროთ ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახებს, გამოვაჯანსაღოთ ზნეობრივი კლიმატი, არ დავუშვათ ნებისმიერი სახის შიდა და გარე კონფლიქტები და სხვა.

ვფიქრობ, სწორედ ეს არის ყველაზე დიდი პოლიტიკა. რა თქმა უნდა, ამასთან ერთად, მხარს ვუჭერთ ქალის როლის ამაღლებას, რათა მეტმა ქალმა მიიღოს მონაწილეობა მთავრობის გადაწყვეტილებებში და რეფორმებში.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

— როგორ არის თქვენთან გადაწყვეტილი ქალთა დასაქმების პრობლემა?

— როგორც ყველგან, ჩვენთანაც ქალი აღმოჩნდა უფრო შრომისუნარიანი. სწორედ ქალი იბრძვის იმისათვის, რომ ოჯახი გადაარჩინოს შიმშილს, წვალობს, გააშენა ბაღჩა-ბაღი, მოაწყო მეურნეობა, ხელი მიჰყო ვაჭრობას, წვრილმეწარმეობას, ცდილობს შეეგუოს და მოერგოს თანამედროვე პირობებს, რის უფლებასაც აძლევს მისი შესაძლებლობების პოტენციალი. ჩვენი ორგანიზაცია სწორედ ისეთ ქალებს უწევს დახმარებას, რომლებიც ავლენენ საქმიან უნარს და შეძლებისდაგვარად ვეხმარებით. სამწუხაროდ, ქალების უმრავლესობა უმუშევარია, ვცდილობთ დავასაქმოთ, ვამზადებთ პაკეტს ჩვენი წინადადებებით ქალებისათვის სამუშაო ადგილების გამოყოფაზე.

— რა ღონისძიებები მიმდინარეობს განათლების, კულტურისა და სხვა სფეროში, რა შეიცვალა?

— ქალთა საბჭოს წევრებისათვის სულერთი არ არის ახალგაზრდა თაობის მომავალი, მათი სწავლა-აღზრდის საკითხი, ამიტომ ჩვენ არა მარტო სკოლის შიდა პროცესებს ვადევნებთ თვალყურს, არამედ კლასგარეშე მათი აღზრდის პროცესსაც. მით უმეტეს, რომ ქალთა საბჭოს წევრთა უმრავლესობა განათლების სფეროში მოღვაწეობს. შევიტანეთ კორექტივები სასკოლო პროგრამაში. ვემხრობით ალტერნატიული სკოლების გახსნას. მიუხედავად მატერიალური სიმწირისა, შევძელით გაგვეხსნა უნივერსიტეტში ეკონომიკური, სამედიცინო, იურიდიული ფაკულტეტები, რადგან ყველა მშობელს არ შეუძლია შვილები გაგზავნოს საზღვარგარეთ სასწავლებლად. უკვე 7 წელიწადია არსებობს ხელოვნების ლიცეუმი, 3-4 წელია მოქმედებს გიმნაზია და კოლეჯი, მუშაობს 3 კომერციული უმაღლესი სასწავლებელი. თუმცა ბევრი პრობლემაც გვაქვს, განსაკუთრებით ტექნიკური საშუალებების მხრივ. მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები სკოლამდელი ბავშვებისათვის ბაგა-ბაღების გახსნისათვის.

— გყავთ თუ არა უპატრონო ბავშვები და არის თუ არა დაცული ბავშვთა და ქალთა უფლებები, როგორაა გარემოს დაცვის საქმე და სხვა?

— კიდევ კარგი, მაწანწალა ბავშვები არა გვყავს. მაგრამ გვყავს ძალიან ღარიბი ბავშვები მრავალშვილიანი ოჯახებიდან, რომლებსაც ვმეურვეობთ.

— თუ მუშაობს საწარმო-დაწესებულებები?

— 16-მდე საწარმო-დაწესებულება მოქმედებს, მიდის მუშაობა ფერმერულ მეურნეობათა განვითარებისათვის და სხვა.

— რატომ შეჰყავთ ოსებს შვილები ძირითადად რუსულ სკოლაში, ნუთუ ოსურ ენაზე სწავლება ნაკლებ პრესტიჟულია?

— ჯერ კიდევ საბჭოთა წყობის დროს ეტაპობრივად დაიწყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ოსური ენის სწავლება, მაგრამ ცნობილი მოვლენების შედეგად ვერ დავამთავრეთ ეს წამოწყება, თუმცა ზოგიერთ დაწყებით და საშუალო სკოლაში მიმდინარეობს ოსური ენის სწავლება. რაც შეეხება პრესტიჟულობას, დღეს რომ არის ლტოლვა მშობლიური ენის შესწავლისადმი, არასოდეს ისე არა ყოფილა.

— რას თვლით საჭიროდ იმისათვის, რომ ახალი თაობის მთელი ენერგია, ინტელექტი კონკრეტული საქმეებით ჩააყენოთ ხალხის სამსახურში?

— მე ამ თემაზე შემიძლია ბევრი ვილაპარაკო, მაგრამ ახალგაზრდებთან მუშაობის კომიტეტის თავმჯდომარეს უფრო კომპეტენტურად შეუძლია გაგცეთ პასუხი. სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდული ორგანიზაცია მუშაობს შესანიშნავად, ყოფილ კომკავშირულ ორგანიზაციაზე უკეთესად. დავუმატებ, რომ ამ საკითხზე მზადდება მთელი რიგი საკითხები ხელმძღვანელი ორგანოების განსახილველად.

— მზადდება ბატონ ედუარდ შევარდნაძისა და ბატონ ლუდვიგ ჩიბიროვის შეხვედრა, გაქვთ თუ არა იმედი, რომ ისინი შეძლებენ ოსურ-ქართული კონფლიქტის მოგვარებას?

— რა თქმა უნდა, ამ შეხვედრის ძალიან დიდი იმედი მაქვს.

— შეიქმნა საქართველოს პარლამენტთან არსებული ქალთა კლუბი, რომელშიც მონაწილეობენ პარლამენტარი ქალები და ქვეყნის პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად ჩახედული მანდილოსნები. ამ კლუბს ხელმძღვანელობს პარლამენტის წევრი ქალბატონი ნანი ჭანიშვილი. წინა შეხვედრაზე გამოითქვა აზრი, რომ სამხრეთ ოსეთის ქალებმაც მიიღონ მონაწილეობა ასეთ შეხვედრებში. თქვენი წინადადება და აზრი ამ საკითხის ირგვლივ.

— ვიცი, რომ ძალიან ბევრი კავკასიური ორგანიზაციის წარმომადგენლები ხვდებიან ერთმანეთს მრგვალ მაგიდასთან. რატომ არ უნდა შევხვდეთ ჩვენც, კავკასიის ქალები ერთმანეთს?

ვფიქრობ ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იქნება და ბოლოდროინდელი გაუცხოების დაძლევაშიც დაგვეხმარება.

შარშან ჩვენც, ოსეთის ქალებმა, მონაწილეობა მივიღეთ ჩრდილოეთ ოსეთში გამართულ შეხვედრაში. ახლაც დიდი სიამოვნებით მივიღებთ მონაწილეობას ასეთი სახის შეხვედრებში.

ესაუბრა
იზა ტიგიევა.

რას ვწერდით

ეს წერილი 7 წლის წინათ დაიბეჭდა გაზეთ „თბილისში". დღეს მას ჩვენ ვაქვეყნებთ. წაიკითხავს მკითხველი და თავად მიხვდება, რომ ავტორის მაშინდელი პოზიცია სავსებით სწორი, ხოლო მაშინდელი წინათგრძნობა ასევე სავსებით შეუმცდარი იყო. იქნებ ახლა მაინც დავფიქრდეთ?

დრო, პოზიცია

ადამიანის, ცივილიზაციის ბუნებრივი განვითარების შედეგია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებანი და რწმენა. თანამედროვე ადამიანიც ამ განვითარების პროდუქტია. ის, რაც ეტევა ამ ცნებაში, ბუნებრივია, კურთხეულია ბუნებისა და ღმერთის მიერ, დანარჩენი კი ეწინააღმდეგება ადამიანის კეთილ საწყისს.

ისტორია მოწმობს, რომ არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ მოუტანია ბედნიერება თავისი ერისთვის. პოლიტიკური პარტია თავისი არსით, დანიშნულებით, ფუნქციით, უწინარეს ყოვლისა, მოასწავებს კონფრონტაციას, გამიჯვნას...

პოლიტიკური პარტია ხომ მაშინაა საჭირო, როცა ერის ერთმა ნაწილმა უნდა მიაღწიოს თავის მიზნებს (და, თუნდაც არა მანკიერს) სხვა თავის თანამემამულეთა ხარჯზე; საბოლოოდ, ყველა პარტია იბრძვის ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ეს კი არ ხდება ძალდაუტანებლად, რაც წარმოშობს წინააღმდეგობას და, ბოლოს, დაპირისპირების, კონფრონტაციის ზრდის ჯაჭვურ რეაქციას. ყოველივე ეს ხალხის შემოქმედებითი პოტენციალის შემცირების ხარჯზე ვითარდება, დღეს კი ერს ერთი ამოცანა დაუსახავს, რომელსაც ყველაფერი უნდა ანაცვალოს.

შევხედოთ პრობლემას მსოფლიო განვითარების დღევანდელი პოზიციიდან. ნუთუ ვინმეს სწამს, რომ დამდეგ საუკუნეში პოლიტიკურ პარტიებს რაიმე მნიშვნელობა ექნებათ? 15-20 წლის შემდეგ იგი ისეთივე ანაქრონიზმი იქნება, როგორც დღეს ალქიმია და რაინდის საჭურველია ჩვენთვის.

კაცობრიობის ცივილიზაციამ უკვე განვლო პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი აზრის კორიფეების ერა. ზიანიც დიდი ნახა: ფაშიზმი გერმანიაში, სოციალიზმის ბანაკის გამარჯვება მსოფლიოს მრავალ კუთხეში და მასში შემავალი ყველა ქვეყნის გაღატაკება და სავალალო მდგომარეობა დღეს; ათობით მილიონი დაღუპული მსოფლიო ომებში, და უფრო მეტი შიმშილით და რეპრესიებით, საკუთარი ხალხის გენოციდით და სამოქალაქო ომებით.

რას წარმოადგენს პოლიტიკური პარტია თუნდაც ამერიკაში? ამერიკელები ძირითადად გაწევრიანებული არიან ორ მთავარ პარტიაში. მაგრამ ჰკითხეთ ამერიკელებს, რა განსხვავებაა ამ პარტიების იდეოლოგიაში? არავითარი. ესაა, უბრალოდ, ძალაუფლების მოპოვებისათვის საუკეთესო ღირსეული ამერიკელების შერჩევისა და შეჯიბრების ფორმა. ამერიკა დღემდე ამ დიადი დემოკრატიის მაგალითია. იგივეა სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში, თუ არ გავითვალისწინებთ ვალს ზოგიერთი ტრადიციისადმი და ანომალიებს, რომლებიც დღეს, XX საუკუნის დამლევისათვის უკვალოდ ქრებიან.

სამყაროში სიცოცხლის განვითარების ჰარმონიის განუყოფელი ნაწილია კაცობრიობის განვითარების კანონები. ადამიანს დღეს შესწევს უნარი ფლობდეს და მართოს უდიდესი პროცესები ბუნებაში. ეს პროცესები თავისი კოლოსალური ენერგიითა და დედამიწაზე ზეგავლენით ჩვენი საერთო სახლის — დედამიწის შენარჩუნების საკითხს აყენებს. ამ საქმეში ყველა ქვეყანამ და ერმა კი არა, ყოველმა ადამიანმა თავისი სავალდებულო წილი თუ არ დაიდო, კატასტროფა გარდაუვალია. აქ მთავარია არც ერთი ერი არ ჩამორჩეს: თავისი განვითარებისა და შეძლების უნარით შექმნას მეტი მატერიალური და სულიერი ღირებულებანი.

ამიტომაა, რომ მსოფლიოს არც ერთი განვითარებული ქვეყანა (ჩვენზე ათჯერ მეტი შეძლების) თავს არ მისცემს უფლებას თავისი პოტენციის ხუთი პროცენტიც კი ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ ბრძოლას რომ შეალიოს. ჩვენ კი დღეს, როგორც ჩანს, გადავწყვიტეთ ამას მოვახმაროთ უკლებლივ ყველაფერი, სწორედაც რომ, უკლებლივ.

ეროვნული დაუმორჩილებლობა, შიმშილობა, ახალგაზრდების შეიარაღება, გათიშვა და შეურაცხყოფა — განა ბევრი გვაკლია სამოქალაქო ომამდე — ამ არაქართულ ფენომენამდე? ჩვენში ძმათაკვლა არასოდეს ყოფილა მთელი ხალხის მიერ ნებადართული. არ შეიძლება ახლობლის მკვლელობა წესად ჰქონდეთ ქართველებს. ვინ კისრულობს ამ ცოდვას?

დღეს, კოსმოსის, ლაზერის, ბიოტექნოლოგიის, სრული კომუნიკაბელობის საუკუნეში ნებისმიერი ერის უპირველესი ამოცანაა ღირსეული ადგილი დაიკავოს ჩვენი პლანეტის ცხოვრებაში. ხალხი არ წააგებს, თუ ეს ადგილი შეესაბამება მის ისტორიას, კულტურას, ინტელექტს და ბოლოს და ბოლოს პრეტენზიას (ამ სიტყვამ არ უნდა შეგვაშინოს, მით უმეტეს, რომ იგი ჩვენ გაგვაჩნია). ამ ადგილისაკენ გზა პლანეტის ყველა ხალხისათვის, თვით დიდი და ძლიერი სახელმწიფოებისთვისაც კი, რომ არაფერი ვთქვათ ხუთმილიონიან რესპუბლიკაზე, კონფრონტაციასა და ძალადობაზე კი არ გადის, რა კეთილშობილურ და ემოციურ პარტიულ პროგრამებსა და ლოზუნგებსაც უნდა ეფუძნებოდეს იგი, არამედ უდიდეს ძალისხმევაზე, ერთობაზე, დიდ შრომაზე.

ახლა ჩვენი ისტორიის კოორდინატების გათვალისწინებით ვნახოთ, აქვს თუ არა საქართველოს პირობები და შესაძლებლობები ამისათვის?

დღეს საქართველოში ურთულესი ეთნოვითარებაა, ცენტრის ახალი გარდაქმნისეული პოლიტიკისა და კანონების ფონზე. ქართველთა დღევანდელმა თაობამ უნდა მიაღწიოს საქართველოს სრულ სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას, — აი, უზენაესი მიზანი ერისა. რეალურად რას ვაკეთებთ, რა შესაძლებლობა გვაქვს?

ერთი მხრივ რესპუბლიკაში კონფრონტაციის გამწვავება და ვითარების დაძაბვა, შეურიგებლობა, გაფიცვები, პიკეტები, სამოქალაქო ომის საშიშროებაც კია. და, ეს მაშინ, როცა ცენტრს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ან მნიშვნელოვნად შეამციროს პურის, ხორცის, რძის, ელექტროენერგიის, საწვავ-საპოხი მასალების, გაზის, ხე-ტყის, ლითონის, მარილისა და ასანთის მოწოდებაც კი.

რესპუბლიკას ორი თვის მარაგიც არ გააჩნია, დამხმარე კი არავინაა.

მეორე მხრივ: საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ფაქტობრივი გასვლა; უკრაინის, ბელორუსიის, მოლდოვას ცენტრიდანული მეცადინეობა; ვითარება ამიერკავკასიაში და ყოველივე ამის ფონზე მთავარი — რუსეთი იძენს (და უნდა შეიძინოს, რაც მთავარია) სუვერენიტეტს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმპერია იშლება. ელცინი და რუსეთი არ იზამენ იმას, რომ შეინარჩუნონ იმპერია რუსეთის ბიუჯეტიდან გამავალი წელიწადში 70 მილიარდი მანეთის ფასად.

ავწონ-დავწონოთ ყოველივე ეს და ავირჩიოთ გზა. ერთი რამ ნათელია: საქართველოს ზეგავლენა იმპერიულ პროცესებზე უმნიშვნელოა, მაგრამ სავსებით საკმარისია საქართველოში გამოუსწორებელი ტრაგედიის პროვოცირებისათვის.

დღეს მწვავედ დგას პოლიტიკურ პარტიებს შორის ხელისუფლების განაწილებისა და საქართველოს წინაშე მათი პასუხისმგებლობის საკითხი. მაგრამ ამასთან, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის უცნობია ამ პარტიათა პროგრამები (პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნის გამონაკლისით). ასეთი პარტია კი ათობითაა. ხალხმა კი უნდა უწყოდეს, სულ ცოტა, ის მაინც, ამ პარტიებიდან რომელი და როგორ ახორციელებს თავის პროგრამას. ამიტომაც მგონია, რომ დღეს ჩვენში პარტიული სიებით არჩევნებს გარკვეული ხარვეზები ექნება, არადა, ვინდა აშშ, ინგლისის და საფრანგეთის პოლიტიკური კულტურის დონეზე წარემართოთ ჩვენი პოლიტიკური საქმიანობანი.

ხალხმა თავისი წარმომადგენლები საქართველოსათვის სადღეისოდ ერთადერთი პარტიის —საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის „პარტიის" მებრძოლები და წევრები უნდა აირჩიოს.

ახლა ყველაზე დიდ დაბრკოლებაზე, კონსოლიდაციის გზაზე რომ გვხვდება: ქართველებიდან, მათ შორის, კომუნისტური პარტიის 400 ათასი წევრიდან, რამდენს აქვს ერთიანი იდეური რწმენა? სასაცილოა ვილაპარაკოთ კომუნიზმის 400 ათას მშენებლებზე. მეორე მხრივ, განა ყველა კომუნისტური პარტიის წევრი იმსახურებს იარლიყს, რომელიც მათ ოპოზიციამ მიაკერა? ალბათ, არა.

ცნობილია, რომ მომავლის სწავლა არ შეიძლება, მომავლის ყველაზე კარგი მასწავლებელია წარსული. გადავავლოთ თვალი ჩვენს უახლოეს წარსულს.

საუკუნის დასაწყისი. რევოლუციის ქარტეხილი. იშლება რუსეთის უზარმაზარი იმპერია. იმპერიის ორი განაპირა, გაღატაკებული, დამონებული, ჩამორჩენილი სახელმწიფო — ჩრდილოეთით ფინეთი, ხოლო სამხრეთით საქართველო — იღებს დამოუკიდებლობას. ფინეთი დღესაც დამოუკიდებელია. საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ სამ წელიწადს გაგრძელდა.

ფინეთი და საქართველო დღეს — კომენტარი ზედმეტია!

მსოფლიო რევოლუციის ჟამს რევოლუციის ქართველი ლიდერების, ბელადების (ერთი მხრივ სტალინი, ორჯონიკიძე, მახარაძე, ცხაკაია, კეცხოველი, მეორე მხრივ, ჟორდანია, რამიშვილი, წერეთელი, ჩხენკელი...) ამ პროცესზე გავლენით ტოლს მსოფლიოს უდიდესი ქვეყნებიც ვერ დაგვიდებენ. მაშინ, როცა თავის საქმეზე გადაგებულ იგივე ფინელ ხალხს მსგავსი მისწრაფება არ გააჩნდა. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ქართველების ეს პოლიტიკური პოტენციალი, მისი ბოროტი და კეთილი გენია სულმნათი ილიასებრ ერის სამსახურში რომ ჩამდგარიყო, მეტიც — ხელი არ შეეშალა და არ ჩაეხშო საქართველოს თავისუფლება, დღეს ხომ სულ სხვა ცხოვრებით ვიცხოვრებდით...

ისტორიის მწარე გაკვეთილიდან და შექმნილი ვითარებიდან შეიძლება დავასკვნათ: თუ საქართველოს ბედისათვის ასეთ გადამწყვეტ ჟამს საკუთარ თავს სხვა არაფრის ნებას რა დავრთავთ, იმის გარდა, რაც სამშობლოს გათავისუფლებას უნდა ემსახუროს (გნებავთ, პირადად საკუთარი, გნებავთ „მოწინააღმდეგის" მეცადინეობითაც კი), მაშინ საშველი არის და ჩვენზე, მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული ამ გზის ქმედითიანობა და რეალობა.

დღევანდელ ელვისებურად მიმდინარე მსოფლიო მოვლენებში ჩვენს უძველეს, იქნებ დიდსაც, მაგრამ ფაქტია, მცირერიცხოვან და იმპერიის ინტერესებით ვერაგულად მებორკილ ხალხს უფლება არა აქვს, არ გაუსწროს მოვლენებს, უწინარეს ყოვლისა, ერის უთუო და საყოველთაო კონსოლიდაციით. ისტორიული მომენტი და სამშობლოს ბედი მოითხოვს გავიგოთ, რომ ქრისტეს დაბადებიდან ათას ცხრაას ოთხმოცდამეათე წელს უკლებლივ ყველა (ფორმალი და არაფორმალი) უნდა დაემორჩილოს ერთს — ხალხის ნებას. მხოლოდ მას აქვს ახლა უფლება არჩევანის, გადაწყვეტის და, ღმერთმა დაგვიფაროს, შეცდომისაც.

ნუ გავიხდით საქმეს სანანებლად, რამეთუ კიდევ ერთი 70 წლის შემდეგ ეგებ სანანებელიც აღარაფერი დარჩეს.

ბადრი დარჩიანი.

კოლეგა

ხვალინდელ დღეზე ფიქრით

ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინებისა და განვითარების პერსპექტიული გეგმა მრავალი პრობლემის გადაჭრას საჭიროებს. ყველასათვის ცნობილია, როგორ დასუსტდა საქართველოს ეკონომიკა, ყველამ იცის, თუ რა დღეშია მოსახლეობის ფართო ფენა და როგორი ძალისხმევაა საჭირო ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად. ისიც ფაქტია, რომ დღეს ჩვენში არ მუშაობს არსებულ საწარმოთა მეათედიც, ხოლო ის, რაც ასე თუ ისე მოქმედებს, სასურველ ეფექტს ვერ იძლევა...

ამ რთულ ვითარებაში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ამოცანა ეროვნული მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გამოყენება და არსებული რეზერვების მიზანდასახული ამოქმედება არის. უდავოა, რომ ამ რთული პრობლემის გადაწყვეტა კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს, რომელშიც საქართველოს ცალკეული რეგიონების გეოგრაფიულ-ეკოლოგიური, ყოფითი თუ სოციალური თავისებურებანი უნდა აისახოს; გამოვლინდეს ის წყაროები, რომლებიც უპირველესად ქვეყნის ენერგოსისტემის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

ამ მიმართულებით მოღვაწეობის ყველა სირთულე, ყველა შეფერხება თუ გონივრული გადაწყვეტით მოპოვებული ყველა მიღწევა მოსახლეობის ფართო ფენამ უნდა გაითავისოს. ამ საქმეში კი სხვებთან ერთად, უდავოდ დიდი სამსახურის გაწევა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, კერძოდ ჟურნალისტებს შეუძლიათ.

60 წელი შეუსრულდა პოპულარულ ჟურნალისტს, საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „მოამბის" კომენტატორს მერაბ ბერაძეს, რომელსაც გულთბილად გამოეხმაურა გაზეთი „ლიტერატურული საქართველო". იუბილარის მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცეს ცნობილმა ქართველმა მწერლებმა, რომელთა შორის ბევრია ისეთი, რომლებიც მომავალ თაობას ნამდვილად კლასიკოსებად შემორჩებიან. ხოლო მათი პირუთვნელი პოზიცია, პრინციპული და ობიექტური დამოკიდებულება ჟურნალისტური საქმიანობისადმი, საყოველთაოდ ცნობილია.

დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მერაბ ბერაძის რეპორტაჟების დიდი ნაწილი კარგად ახსოვს ჩვენს ტელემაყურებელს. ჟურნალისტის პოპულარობის განმსაზღვრელი კი უპირველესად ის არის, რომ იგი სიუჟეტს არაჩვეულებრივად იოლი ფორმით აწვდის მაყურებელს, ამით ადვილად იზიდავს მსმენელს და აიძულებს მას ბოლომდე გაეცნოს კომენტატორის მიერ მოწოდებულ მასალას. ეს კი, უდავოდ ნებისმიერი ჟურნალისტის დიდი გამარჯვებაა. იუბილარი ძირითადად ისეთ რეპორტაჟებს გვთავაზობს, რომლებიც საკმაოდ ძნელად გასაცნობიერებელია, რადგან სიახლეთა პოპულარიზაცია, მეცნიერული აზრის ნათელი ინტერპრეტაცია არაპროფესიონალი მაყურებლისათვის მისთვის გასაგები ენით რეპორტაჟის მიწოდება, მეტი რომ არ ვთქვათ, დიდ ოსტატობას ითხოვს, რასაც ავტორი განსაკუთრებული ალღოსა და ნიჭის წყალობით ახერხებს. სწორედ ამიტომაა იგი ორიგინალური ხელწერის შემოქმედი, რომლის მოღვაწეობამ არაერთ გამომგონებელსა და რაციონალიზატორს გაუკაფა ფართო გზა, რის დასტურიც გახლავთ ის უამრავი წერილი, დეპეშა თუ სატელეფონო ზარი, რომლითაც მას საზოგადოების სხვადასხვა ფენა ეხმიანება.

შემთხვევითი არაა, რომ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის მიერ გამართულ კონკურსში იგი 1992 წლის საქართველოს პოპულარულ ჟურნალისტად დაასახელეს, შემდეგ კი იმავე ფედერაციის გადაწყვეტილებით მიანიჭეს რესპუბლიკური პრემია „რეპორტაჟების არაორდინალური მომზადებისა და სიახლეთა დანერგვისათვის".

წლებმა და პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ჟურნალისტმა სწორი და უტყუარი გზა აირჩია. კომენტატორი ათეული წლების მანძილზე აქტიურად მუშაობს ქვეყნისათვის უმწვავეს პრობლემებზე: ახალ ტექნოლოგიებზე, უფრო სწორედ, მათ დანერგვაზე, გამოგონებებზე, მცირე და მიკროჰესებზე, ბიოდანადგარებზე, ჰელიოსისტემებზე, თერმულ წყლებზე, ქარის ელექტროსადგურების აგებასა და მათ მწყობრში ჩაყენებაზე. თამამად ვიტყვით, და ვფიქრობთ ამაში ვერავინ შეგვედავება, რომ დღეს იგი საქართველოში ერთადერთი ჟურნალისტია, რომელიც ერთგულად უდგას გვერდში ტექნიკურ ინტელიგენციას და პრაქტიკულად ეხმარება მათ...

უდავოდ აღნიშვნის ღირსია მერაბ ბერაძის წვლილი იმ მასალების მომზადებასა და პოპულარიზაციაშიც, რომლებიც დაკავშირებულია მცირენარჩენიანი, მეცნიერებატევადი, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების შექმნასა და მათ პოპულარიზაციასთან. მათ შორისაა ბიოდანადგარების ტექნოლოგია და მათი დანერგვა. ამასთან დაკავშირებით, ინტერესმოკლებული არ იქნება გავიხსენოთ კარგა ხნის წინათ საკავშირო ტელევიზიით გადაცემული ერთი მეტად მნიშვნელოვანი რეპორტაჟი ინდოეთის შესახებ, რამაც როგორც მეცნიერთა, ისე მოსახლეობის დიდი ინტერესი გამოიწვია; იმ დროს, როდესაც ამ ქვეყანაში ჩვენზე უარესი მდგომარეობა შეიქმნა ენერგორესურსების (ნავთი, ბენზინი, ელექტროენერგია, გაზი, ნახშირი) ნაკლებობის გამო, მოსახლეობა ტყეს ბარბაროსულად შეესია და შეშის დამზადება დაიწყო. ამას კი სულ მალე ბუნებრივი პროცესების რღვევა მოჰყვა: ძლიერი გვალვა, სეტყვა, ზვავი, ეროზია, ხანგრძლივი წვიმები და სხვა. მოიშალა ნორმალური ბიოგეოცენოზის რეგულაცია. საბედნიეროდ, მთავრობა მიხვდა, რომ სასწრაფოდ უნდა გადაედგა გონივრული ნაბიჯი, რადგან კრიზისს მხოლოდ უცხოური სესხების აღება ვერ უშველიდა. აი, ამიტომ ხელისუფლებამ მამაპაპური მეთოდების ფართო პროპაგანდასა და დანერგვას მიმართა. ამათგან ერთ-ერთი, ნაკელისაგან ბიოგაზის მიღება აღმოჩნდა. გლეხობას მისცეს მიზნობრივი და ამასთან ფრიად შეღავათიანი კრედიტი მეცხოველეობის განვითარებისათვის და ყოველივე ეს მკაცრ კონტროლზე აიყვანეს. ამასთანავე ინტენსიურად დაიწყეს ბიოდანადგარების მონტაჟი და მათი პროპაგანდა. მალე ყოველივე ამან მეტად სასურველი შედეგი გამოიღო. ინდოეთში იმრავლა საქონელმა, რამაც თავისთავად მისცა ქვეყანას უზარმაზარი რაოდენობის ნაკელი, გაჩნდა ხორცი, რძის პროდუქტები, ტყავი, მაღალხარისხოვანი სასუქი... და ბუნებრივია, მოსახლეობამ საგრძნობი შვება იგრძნო.

ზემოაღნიშნული ფაქტი მხოლოდ ინდოეთისათვის არ იყო დამახასიათებელი. მსოფლიოს განვითარებულ და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში დიდ ყურადღებას აქცევენ ბიოდანადგარებს და ბევრს მუშაობენ მათი ტექნოლოგიების სრულყოფისა და წარმადობის ზრდისათვის. გამოქვეყნებული ინფორმაციების თანახმად, ჯერ კიდევ 1993 წლის მონაცემებით, ჩინეთში კერძო სექტორი ამუშავებდა 7 მილიარდ კუბომეტრ გაზს, რაც 60-80 მილიონი ტონა ნედლი ნავთობის ექვივალენტურია და 30 მილიონ გლეხს ამარაგებს სათბობით. ცნობისათვის, 1 კუბური მეტრი ბიოგაზი ცვლის 4 კილოვატ ელექტროენერგიას, 1,62 ლიტრ ნავთს, 1,5 კგ ქვანახშირს და 3,5 კგ შეშას, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ იგი შესანიშნავი საწვავი მასალაა და, ამასთან ერთად, მზის განახლებადი ენერგიაა, რომელსაც უზარმაზარი სიკეთის მოტანა შეუძლია ადამიანისათვის.

ფრიად საყურადღებო მონაცემებს აქვეყნებს ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საინფორმაციო ბიულეტენი. მის თანახმად 275-სულიანი ძროხის ჯოგის ნაკელისაგან მიიღება 159 კუბური მეტრი გაზი, რომელსაც შეუძლია 500-კაციანი სოფლის 3/4-ის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ენერგიით. ამასთანავე, ბიოდანადგარში გადამუშავების შედეგად მიიღება მაღალი ხარისხის ბუნებრივი სასუქი, რომელიც ეროზიული მიწების აღდგენაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ბიოდანადგარი მარტივი მოსავლელია და საკმაოდ იაფი. მისი ფასი 600-800 დოლარამდე მერყეობს. სამაგიეროდ მოსახლეობას თითქმის 20-30 წელი აქვს გაზი, რითაც, ბუნებრივია, სოფლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა გვარდება და, რაც მთავარია, წყდება სამვილიმვილო პრობლემა: გადარჩება ჩვენი ეროვნული სიმდიდრე — ტყე...

საქართველოში ბიოდანადგარი ფინანსური პრობლემების გამო ჯერჯერობით ფართოდ ვერ გავრცელდა. გლეხობას არ აქვს საწყისი კაპიტალი და ვერ ახერხებს ბიოდანადგარის მშენებლობას. მარტივი გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ თუ სოფლის მაცხოვრებელს ჰყავს თუნდაც 2 ან 3 ძროხა, რაც სავსებით რეალურია, მაშინ ბიორეაქტორში გადამუშავებული ნაკელი იმდენ გაზს იძლევა, რომ თავისუფლად ჰყოფნის ერთ ოჯახს. ეს კი, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, გადაარჩენს უამრავ ზრდასრულ ხეს, დაიცავს ჩვენი ტყის მასივებს და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ბუნებრივი მცენარეული საფარის შენარჩუნებასა და განახლებაში.

დღეს, როდესაც ჩვენ მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების, თბოცენტრალების აგებისათვის საჭირო თანხები არ გაგვაჩნია, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის რეზერვები, რომლებიც დაკავშირებულია ჰელიოსისტემების, მიკრო და მცირე ენერგეტიკის, ქარის ენერგიის, თბური წყლების და სხვა ალტერნატიული არატრადიციული დარგების განვითარებასთან. დასანანია, რომ „მზის და ვარდების" მხარეში ვერ ვიყენებდეთ მუდმივი რეაქტორის — მზის უშრეტ ენერგიას, რომელსაც ჩვენს პირობებში 7-8 თვის განმავლობაში შეუძლია წყლის 60-70 გრადუსამდე გათბობა. განა მსოფლიოს პრაქტიკამ და ჰელიოსისტემების უზარმაზარმა ფართობებმა არ დაგვანახა, რომ აქ პრაქტიკულად ამოუწურავი რეზერვები გვაქვს? განა გვაქვს უფლება არ გამოვიყენოთ და არ განვავითაროთ მიკრო და მცირე ენერგოსადგურების მთელი სისტემა, როცა საქართველოში ტერიტორიის თითქმის 3/4 მთაგორიანია და იშვიათია სოფელი, სადაც მათი დადგმა არ შეიძლებოდეს!

სწორედ მერაბ ბერაძის მიერ მომზადებული რეპორტაჟებით გახდა ცნობილი, თუ როგორ გაიხარა აჭარის მაღალმთიანეთში ერთმა პატარა სოფელმა — უჩამბამ, ნიჭიერი გამომგონებლის კობა ნაფეტვარიძის და მისი ჯგუფის მიერ შექმნილი მიკროელექტროსადგურის ამოქმედებით.

მნიშვნელოვანი პერსპექტივებია ქარის ენერგიის გამოყენებაშიც, რაც ასევე უყურადღებოდ არ დაუტოვებია მერაბ ბერაძეს თავის გამოსვლებში. საკმარისია ითქვას, რომ 1992 წლის მონაცემებით, ამერიკაში მუშაობდა 16 ათასი ქარის ელექტროსადგური, რომელიც ქვეყანას 1700 მეგავატ ენერგიას აძლევდა. საინტერესოა ისიც, რომ ისეთ პატარა სახელმწიფოში, როგორიც დანიაა, ქარის სადგურები 540 მეგავატს გამოიმუშავებენ და ეს შესანიშნავი მაჩვენებელია.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გადაცემა, რომელიც თაფლის ცვილის გამოყენებას მიუძღვნა ჟურნალისტმა. ზესტაფონელი გამომგონებლების მიერ შემოთავაზებულმა წინადადებამ ბევრ საინტერესოზე ჩაგვაფიქრა. ცხადია, სახელგანთქმულ ქართულ ფუტკარს და თაფლს ჩვენი რეკლამა არ სჭირდება, მაგრამ ცვილის გამოყენების ახალმა გზამ, რაც თავისთავად უნარჩენო წარმოებას ითვალისწინებს, ფრიად საინტერესო პერსპექტივები დაგვისახა.

მერაბ ბერაძის უაღრესად ნაყოფიერ საქმიანობასთან დაკავშირებით კიდევ ბევრი შეიძლება ითქვას. იმედი გვაქვს, რომ ამ ნიჭიერ, ხალასი იუმორით დაჯილდოვებულ ჟურნალისტს ხელის შეწყობა არ მოაკლდება და იგი კვლავაც შეძლებს ჩვეული ენერგიით განაგრძოს დიდი ხნის წინათ დაწყებული საქმე, საქმე, რომელიც დღეს ასე სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

გიორგი კვესიტაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი,
დავით ჯოხაძე,
მარლენ გორდეზიანი,
წევრ-კორესპონდენტები.

რედაქციისაგან: თავს უფლებას მივცემთ, ერთი კომენტარი დავურთოთ ზემოთხსენებულს. ვფიქრობთ, საჭიროა რეალურად დავეხმაროთ გლეხობას, რათა თავისი თავიც გაამაგროს და დედაქალაქსაც ამოუდგეს მხარში. ვისაც ეს ევალება, გამოუყოს მათ სესხი. ოღონდ — ერთი პირობით. როცა იგი მომძლავრდება, და ეს ძალიან მალე მოხდება, მისგან აუცილებლად ფულით კი არ დავიბრუნოთ თანხა, არამედ, სასურველია, მეცხოველეობის პროდუქტებით. დარწმუნებული ვართ, ამ პირობაზე ყველა წამოვა და ეს საუცხოო შედეგს გამოიღებს.

სიახლე

ოლიმპიადა - „ადამიანი და კონსტიტუცია"

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჩვენი საზოგადოება, სამწუხაროდ, კარგად არ იცნობს, ვფიქრობ ამის გამო საზოგადოებას და განსაკუთრებით ახალგაზრდობას, რომელიც სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების, კონსტიტუციური პრინციპების დაცვის გარანტი უნდა იყოს მომავალში, აუცილებლად სჭირდება სამართლებრივი ცოდნის გაღრმავება, სამართლის უზენაესობის აუცილებლობის გაცნობიერებაში ხელის შეწყობა, დარწმუნება, რომ ქვეყნის უკეთესი მომავლის აუცილებელი პირობა არის თითოეული ჩვენთაგანის მიერ მოქალაქის ძირითადი კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება და დაცვა. სწორედ ამ მიზანმა განაპირობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ხელმძღვანელობით სახელმწიფო-სამართლებრივი ოლიმპიადის გამართვა სახელწოდებით „ადამიანი და კონსტიტუცია".

ოლიმპიადაში მონაწილეობენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების უფროსი კლასის მოსწავლეების და უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების გუნდები. გუნდში გაერთიანებულია ხუთი წევრი. ასევე სავალდებულოა გუნდს ჰყავდეს ორი სათადარიგო წევრი, ოლიმპიადის გამართვა სამ ტურად არის გათვალისწინებული. პირველი ტური, რომელიც 1997 წლის დეკემბერში გაიმართება, ითვალისწინებს ტესტირებას უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და გასაუბრებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისათვის. გასაუბრება და ტესტირება შეეხება საქართველოს სახელმწიფო სამართლის საკითხებსა და სასამართლოს როლს საზოგადოებაში.

მეორე და მესამე ტური, რომელიც ორ ეტაპად 1998 წლის თებერვალ-მაისში მოეწყობა, მთლიანად დაეთმობა იმიტირებული საქმის განხილვას საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით. ყველა ტური გაიმართება კვირა დღეს, 11-დან 16 საათამდე.

უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეების გუნდებს შორის არ იმოქმედებს შეჯიბრების პრინციპი, მათი ცოდნის საერთო დონის განსხვავების გამო. თითოეული გუნდი შეფასდება დამოუკიდებლად, და ფინალურ — მესამე ტურში გავა საუკეთესო შედეგის მქონე ორი სტუდენტური გუნდი და ორი მოსწავლეთა გუნდი.

ოლიმპიადის ყოველი ტურის თითოეულ ეტაპზე უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა გუნდის წევრები შეასრულებენ საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის მოვალეობას; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გუნდები კი — საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეებისა, კერძოდ, მოსარჩელისა და მოპასუხის მოვალეობას.

ოლიმპიადას ხელმძღვანელობს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ასევე ახორციელებს პირველი ტურის ტესტირებას, გასაუბრებას და მისი შედეგების შეფასებას. ოლიმპიადის მონაწილეებს მეორე და მესამე ტურში აფასებს ჟიური, რომლის შემადგენლობას ადგენს საორგანიზაციო კომიტეტი.

ოლიმპიადა ითვალისწინებს როგორც ფინალში გასული გუნდების, ასევე, ბუნებრივია, გამარჯვებული გუნდების დაჯილდოებას. მათი ყველა წევრი დაჯილდოვდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სიგელით, ხოლო საუკეთესონი — პრიზებით. დაჯილდოების ცერემონია მოეწყობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეს — 26 მაისს.

ვინაიდან ოლიმპიადის ერთ-ერთი მიზანია ახალგაზრდობის სამართლებრივი ცოდნის გაღრმავება, ოლიმპიადის შესახებ ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნების მიზნით მოვიწვევთ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს. ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტისა და შესაბამისი გაზეთის რედაქციის გადაწყვეტილებით გამოქვეყნდება ყველაზე საუკეთესო სტატია.

გუნდი, რომელიც გამოთქვამს სურვილს მონაწილეობა მიიღოს ოლიმპიადაში, წარმოადგენს განაცხადს ა. წ. პირველ დეკემბრამდე სახელმწიფო-სამართლებრივი ოლიმპიადის „ადამიანი და კონსტიტუცია" საორგანიზაციო კომიტეტის სახელზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში (380008, თბილისი, რუსთაველის 29).

ვფიქრობთ, ოლიმპიადა დააინტერესებს ჩვენს საზოგადოებას და განსაკუთრებით ახალგაზრდობას.

მაია კოპალეიშვილი,
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე, სახელმწიფო-სამართლებრივი ოლიმპიადის „ადამიანი და კონსტიტუცია" საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი.

სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური გვერდი

მარათონი

საქართველოს დროშით — ნიუ-იორკის გზებზე

როგორც ცნობილია, 2 ნოემბერს ნიუ-იორკში გაიმართა პოპულარული მარათონი, რომელშიც ამერიკული საერთაშორისო ორგანიზაციის „აქილეს ტრექ კლაბის“ პრეზიდენტის რიჩარდ ტრაუმის მიწვევით მონაწილეობდა ღვთისშვილთა კავშირისა და „აქილეს ტრექ კლაბის“ თბილისის ფილიალის დელეგაცია. ამერიკულ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს დელეგაციის ხელმძღვანელი ზაზა სიხარულიძე:

— ნიუ-იორკის მარათონი წელს უკვე 27-ჯერ გაიმართა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა მსოფლიოს 95 ქვეყნის 30 ათასზე მეტი წარმომადგენელი, მათ შორის, 250-მდე ინვალიდი. მარათონს თვალყურს ადევნებდა 2 მილიონამდე ადამიანი, საზოგადოებრივ წესრიგს იცავდა 2 ათასზე მეტი პოლიციელი, ხოლო ნიუ-იორკის ხაზინამ შემოსავლების სახით მიიღო დაახლოებით 100 მილიონი დოლარი.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მარათონში მონაწილეობდნენ მხოლოდ რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს წარმომადგენლები.

ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ „აქილეს ტრექ კლაბის“ თბილისის ფილიალის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის წინა ორი მარათონის მონაწილე და მედალოსანი მურმან კალანდია და აფხაზეთის კონფლიქტის მონაწილე მაღლენ გოგონაშვილი.

გარდა მარათონში მონაწილეობისა, გვქონდა შეხვედრები ამერიკისა და სხვა ქვეყნების ერო-ენული, საერთაშორისო ჰუმანიტარული თუ სხვა ორგანიზაციების მესვეურებთან, აგრეთვე გაეროში საქართველოს მუდმივ წარმომადგენელთან ინვალიდთა სოციალური დაცვისა და რეაბილიტაციის პრობლემებთან დაკავშირებით.

„აქილეს ტრექ კლაბის“ პრეზიდენტთან — ტრაუმთან შეხვედრისას დადებითად გადაწყდა აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციის თბილისის ფილიალისათვის კავკასიის რეგიონული ცენტრის სტატუსის მინიჭების საკითხი.

პატივისცემა და მადლიერება მსურს გამოვხატო იმ გულისხმიერებისა და საქმიანი დამოკიდებულებისათვის, რაც ჩვენი დელეგაციის მიმართ გამოავლინეს გაეროში ჩვენი სახელმწიფოს მუდმივმა წარმომადგენელმა, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ბატონმა პეტრე ჩხეიძემ და მისმა თანამშრომლებმა, კერძოდ, საელჩოს პირველმა მდივნებმა ალექსანდრე ჩხეიძემ და ლევან ლოლობერიძემ. სხვათა შორის, ბატონმა ლევანმა 4 ნოემბერს გაეროს მე-3 კომიტეტში გააკეთა მოხსენება საქართველოში დევნილთა (ლტოლვილთა) მდგომარეობის თაობაზე.

ბატონმა პეტრე ჩხეიძემ ჩვენთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ გაეროში ჩვენი ქვეყნის მუდმივი წარმომადგენლობა კიდევ უფრო გააქტიურებს თავის საქმიანობას საქართველოში მცხოვრებ ინვალიდთა, ბავშვთა და სოციალური თვალსაზრისით ნაკლებადუზრუნველყოფილ სხვა ფენათა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და დასაქმების მიზნით გაეროს შესაბამისი სტრუქტურებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით.

რაც შეეხება უშუალოდ სპორტულ შედეგებს, ჩვენგან ყველაზე უკეთ იასპარეზა მურმან კალანდიამ, რომელმაც მარათონის დისტანცია 5 საათსა და 41 წუთში დაფარა და ამჯერადაც მედალი (უკვე მესამე!) დაიმსახურა. და ეს მაშინ, როცა მურმანი მე-2 ჯგუფის ინვალიდია. ამასთან, მან უკან მოიტოვა 2 ათასზე მეტი ჯანმრთელი სპორტსმენი. საოცარი ვაჟკაცობა და ამტანობა გამოამჟღავნა 23 წლის მაღლენ გონაშვილმაც, რომელმაც, იმის მიუხედავად, რომ მარცხენა ფეხი მოკვეთილი აქვს აფხაზ სეპარატისტთა მიერ ჩადებულ ნაღმზე აფეთქების შედეგად და პროთეზს ხმარობს, 9 საათსა და 59 წუთში გაიარა მარათონის დისტანცია და მედალიც მოიპოვა.

მე წილად მერგო უდიდესი პატივი, მეტარებინა საქართველოს სახელმწიფო დროშა, რომელიც პეტრე ჩხეიძემ გადმოგვცა. დიდი ზომების გამო ჩვენი ეროვნული დროშა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა (სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს ოდენ პატარა ალმები ეჭირათ). ასეულ ათასობით ამერიკელი გვექომაგობდა მარათონის ტრასაზე. ბევრი მათგანი გვეკითხებოდა, რომელი ქვეყნის დროშააო. როცა ვპასუხობდით: „ჯორჯია“, „შევარდნაძე“, კმაყოფილებას სხვადასხვა სახის შეძახილებითა და ტაშით გამოხატავდნენ.

ეს იყო ჩემი მეორე ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. პირველად იქ ვიმყოფებოდი 1995 წელს, როგორც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი მე-9 მსოფლიო სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებზე. სიამაყისა და სიამოვნების გრძნობით აღვნიშნავ, რომ დღეს გაცილებით მეტი ამერიკელი იცნობს და სიმპათიით ეკიდება ჩვენს სამშობლოსა და ერს.

დასასრულს, მინდა დიდი მადლობა ვუთხრა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი ფონდის გენერალურ დირექტორს ბატონ ოთარ ხუფენიას, რომლის თანადგომისა და ოპერატიული დახმარების გარეშე ჩვენი ამერიკაში გამგზავრება შეუძლებელი იქნებოდა.

სურათებზე: აშშ-ს პრეზიდენტი და მისი მეუღლე რიჩარდ ტრაუმთან ერთად მარათონის დისტანციაზე; ზაზა სიხარულიძე საქართველოს დროშით სტარტის მოლოდინში.

ძიუდო

ხვალ ლიუბლიანის ტატამზე...

სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანაში ხვალ იწყება და 16 ნოემბერს დამთავრდება ძიუდოისტთა ევროპის პირველობა 1977-1980 წლებში დაბადებულთა შორის. საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებდნენ ქართველი სპორტსმენებიც, რომლებსაც ანალოგიურ შეჯიბრებაში უსახსრობის გამო 1993 წლის შემდეგ არ უასპარეზიათ. მაშინ კი ჰოლანდიაში ვაზაგაშვილმა ჩემპიონობა მოიპოვა, დავითაშვილი მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო ცოფურაშვილმა და ავაზნელმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

და აი, ოთხი წლის იძულებითი შესვენების შემდეგ ჩვენი ახალგაზრდა ძიუდოისტები გუშინ კვლავ გაუდგნენ ევროპისკენ მიმავალ გზას ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ჯემალ ნათელაშვილის** *ხელმძღვანელობით. გამგზავრებამდე შევხვდით ბატონ ჯემალს და ინტერვიუ ვთხოვეთ.*

— ამ ცოტა ხნის წინათ თქვენი ლიუბლიანაში გამგზავრება სათუო იყო. როგორ მოაგროვეთ სათანადო თანხები?

— მხსნელად სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ და მისი თავკაცი ბერდია გუგავა მოგვევლინენ. ბატონმა ბერდიამ წინასაშეჯიბრო ორკვირიანი საწვრთნელი შეკრება მოგვიწყო, თან სამი სპორტსმენის პირველობაზე გამგზავრებაც დააფინანსა, ორ ძიუდოისტს თბილისის სპორტის სამმართველოს უფროსი ელადიმერ კანკავა შეეწია, ერთს — სპორტსაზოგადოება „დინამო“, ორ სპორტსმენს კი წასასვლელი თანხები ქუთაისის მერიამ გადაუხადა.

— გამოდის, რომ სლოვენიაში სრული გუნდით მიემგზავრებით?

— ნამდვილად ასეა. წონითი კატეგორიების მიხედვით ლიუბლიანას ტატამზე იასპარეზებენ: თბილისელი ლაშა სარდანაშვილი (60 კგ), ქუთაისელი ფირუზ ტყემელაშვილი (65 კგ.), თბილისელები — გიორგი ნადირაშვილი (71 კგ.) და დავით ნადარაია (78 კგ.), თიანეთელი გელა ჭურჭელაური (86 კგ.), თბილისელი გია გუგავა (95 კგ.) და ქუთაისელი ვასილ ლექვინაძე (მძიმე წონა).

გუნდში ამკარა ლიდერია გია გუგავა, რომელმაც წლეულს რამდენიმე შეჯიბრებაში ისახელა თავი: იასპარეზა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე „შევარდენის“ შემადგენლობაში, გასულ თვეში კი არც თუ ურიგოდ გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონატზე პარიზში.

ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე საკმაო გამოცდილება შეიძინა დავით ნადარაიამაც. ნაკრების სხვა წევრები შედარებით ახალბედები არიან. მას შემდეგ, რაც მაისში საქართველოს პირველობა გავმართეთ, შეირჩა გუნდის კანდიდატები, ისინი თურქეთში, იზმირის საერთაშორისო ტურნირზე გამოვცადეთ, მხოლოდ გია გუგავა არ მონაწილეობდა. უნდა ითქვას, რომ ნაკრების წევრებმა იმედები გაამართლეს: დავით ნადარაიამ და გელა ჭურჭელაურმა ოქროს მედლები მოიპოვეს, ვასილ ლექვინაძე მეორე იყო, ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ ლაშა სარდანაშვილსა და ფირუზ ტყემელაშვილს. თუ გავითვალისწინებთ, რომ იზმირში მასპინძლებთან ერთად გამოდიოდნენ რუმინელი, რუსი, პოლონელი, მოლდოველი და სხვა ქვეყნების ძიუდოისტები, იქ მოპოვებული შედეგები ლიუბლიანაში წარმატების იმედს გვისახავს. სამ მედალს მაინც ვვარაუდობთ, თუმცა, არც მეტზე ვიტყოდით უარს.

— ვინ გეხმარებოდათ ნაკრების მომზადებაში?

— ბიძინა მოხევიშვილი, სულიკო ფეიქრიშვილი, ამირან ტოტიკაშვილი. კონსულტაციებს გვიწევდა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი.

— ამგვარ შეჯიბრებაზე გუნდს თან უნდა ახლდეს მსაჯი. ამ მხრივ თუ გაქვთ ყველაფერი მოგვარებული?

— ლიუბლიანაში ჩვენთან ერთად მოდის საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი მერაბ ლოსეურაშვილი. გამოცდილი მსაჯია, მაგრამ ევროპის პირველობაზე მასაც კარგი ჯაფა დაადგება, რადგან რვა საუკეთესოში უნდა მოხვდეს, რომ გაისად თებერვალში მონაწილეობა მიიღოს ოლიმპიური კატეგორიის მისანიჭებელ გამოცდებზე, რომელიც მიუნხენში გაიმართება. ასე რომ, ჩვენს დელეგაციას ორ ფრონტზე მოუწევს ბრძოლა და, იმედია, თავს არ შევირცხვენთ.

ესაუბრა **ვაჟა დანელია.**

სურათზე: საქართველოს ახალგაზრდა ძიუდოისტთა გუნდი სლოვენიაში გამგზავრების წინ

ალექსანდრე კოტორაშვილის („ლელო“) ფოტო.

კალათბურთი

„აზოტმა“ კვლავ იმარჯვა

წლევანდელი საქართველოს პირველობა კალათბურთში წინამორბედებისაგან განსხვავებით, რომ დაძაბული ორთაბრძოლების სიმრავლით გამოირჩევა და, რომ ჩემპიონობაზე წელს უკვე 4-5 გუნდი რეალურად აცხადებს პრეტენზიას, ამაზე უკვე არაერთხელ ვთქვით, რაშიც გუშინდელმა შეხვედრებმა კიდევ უფრო დაგვარწმუნა, რადგან ჩემპიონატის ფავორიტები ხვდებოდნენ ერთმანეთს.

„დინამოსა“ და **სდასუ**-ს შეხვედრაში ნახევარი ტაიმი იყო გასული და სტუდენტები მატჩს, მეტწილად დერიუგინის (32 ქულა) შესანიშნავი თამაშის მეშვეობით, 11 ქულით იგებდნენ — 29:18, მაგრამ ბეჟანიშვილის, ხომერიკის და მაისურაძის აქტიურობით შეხვედრის მომდევნო მონაკვეთი 14:0 წააგეს და ახლა უკვე „დინამო“ დაწინაურდა — 32:29. გიორგი ჩხეიძის სამქულიანმა კი ანგარიში გააყაიმა. ამის შემდეგ კვლავ დინამოელები გავიდნენ წინ, მაგრამ **სდასუ**-მ ოთიურიძის, ტურაშვილის და დერიუგინის (იგი გუშინ შეუდარებელი იყო მოედანზე) შედეგიანი თამაშის წყალობით მაინც შეძლო ტაიმის ერთქულიანი უპირატესობით მოგება — 45:44. მატჩიც მათვე მოიგეს — 96: 86.

რუსთავის **„აზოტისა“** და **„ვითას“** შეხვედრის პირველი ტაიმის ნახევარი თანაბარი ორთაბრძოლით აღინიშნა და ანგარიშიც ქულა-ქულაში მიდიოდა, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს რუსთაველი კალათბურთელები გააქტიურდნენ და 12 ქულითაც გავიდნენ წინ — 45:33.

მეორე ტაიმში აზოტელები გოგობერიშვილის წინამძღოლობით თანდათან ზრდიდნენ ანგარიშში სხვაობას და მეორე ნახევრის შუაში უკვე 24 ქულით იგებდნენ მატჩს — 73:49. ამას „ვითას“ გააქტიურება მოჰყვა — კორძაძის, აბრამიძის და ლოსაბერიძის შედეგიანი თამაშის წყალობით ანგარიშში სხვაობა შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე 8 ქულამდე შეირდება — 87:79, მაგრამ ვითელთა მომდევნო შედეგიან შეტევებს, ასევე ზუსტი ტყორცნებით პასუხობენ გოგობერიშვილი და ჯაფარიძე. მატჩის მიწურულს „ვითამ“ კიდევ ერთხელ სცადა შეხვედრის ბედის თავის სასარგებლოდ შემობრუნება, მაგრამ მხოლოდ ისღა მოახერხა, რომ ანგარიშში სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა — 100:96.

გუშინ ამ მატჩებამდე გაიმართა კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა, სადაც ერთმანეთის პირისპირ **სტუ** და **„მაკაბი“** წარსდგნენ. გამოცდილი მაკაბელები პირველი ნახევრის შემდეგ 9 ქულის სხვაობით იგებდნენ მატჩს. მეორე ტაიმში კი უკვე სტუდენტები იყვნენ წინ 8 ქულით, მაგრამ გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა და „მაკაბიმ“ გაიმარჯვა — 80:75.

ძალიან დაძაბული გამოდგა გუშინდელი დღის მეოთხე შეხვედრა, რომელშიც ქუთაისის **„რიონმა“** მხოლოდ 2 ქულის სხვაობით შეძლო სოხუმის **„კოლხას“** დამარცხება — 70:68.

იაგო სავანელი.

სურათზე: „აზოტისა“ და „ვითას“ შეხვედრის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის („ლელო“ ფოტო).

ჭადრაკი

რაღაც, ფსიქოზის მსგავსი



ცნობილმა დიდოსტატმა სერგეი დოლმატოვმა, რომელიც უწინ მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის მწვრთნელი იყო, ერთმანეთს შეადარა მისი და ჩემპიონობის უახლოესი პრეტენდენტის, ვლადიმერ კრამნიკის თამაში.

დოლმატოვი მიიჩნევს, რომ კასპაროვი კრამნიკის მიმართ აშკარად არაკორექტულად იქცევა. ასე, მაგალითად, დიდი ნოვგოროდის საერთაშორისო ტურნირზე მსოფლიო ჩემპიონი კრამნიკს ნახევარი ქულით უსწრებდა. ბოლო ტურში მან უბრძოლველად დაასრულა პარტია ყაიმით მორტთან, მაყურებელთა შორის გადაინაცვლა და დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გელფანდი კრამნიკს ქულას აძლევდა, რის შემდეგ კრამნიკი კასპაროვს დაეწეოდა და პირველ-მეორე ადგილებს გაინაწილებდნენ (სინამდვილეში კი ეს შეხვედრა ყაიმით დასრულდა). უნდა ითქვას, განაგრძობს დოლმატოვი, რომ მსგავს შემთხვევებს უწინაც ჰქონდა ადგილი: 1981 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე კასპაროვმა ბოლო ტურში მოუგო ტუკმაკოვს, დაეწია ფსახისს და გაინაწილა მასთან I-II ადგილები. მთელი შეჯიბრების მანძილზე იგი ყველას გასაგონად აცხადებდა, რომ ზოგი მონაწილე განზრახ აგებდა ფსახისთან. „ეს რაღაც მანიაა, რომელსაც მხოლოდ ფსიქოლოგები თუ აგვიხსნიან. გავიხსენოთ, რომ ყოველგვარი საბუთის გარეშე, პრესის საშუალებით, კასპაროვი თავის სეკუნდანტებს ღალატში ადანაშაულებდა, ამავე დროს ისიც კარგად იცოდა, რომ ისინი ვერაფერ შემთხვევაში პასუხს ვერ გასცემდნენ. დიახ, სრულიად მართალი იყვნენ და ხმას მაინც ვერ ამოიღებდნენ... დაახლოებით იგივე განმეორდა ამასწინანდელ მატჩში „დიპ ბლიუსთან“. კასპაროვი მუდმივად ცდილობს ვიღაცის გამტყუნებას, თუმცა არავითარი საფუძველი არა აქვს. იგი თვლის, რომ მთელი მსოფლიო მის წინააღმდეგ არის განწყობილი, ყველას მისი მოტყუება და გაქურდვა სურს“.

დოლმატოვი თვლის, რომ მოჭადრაკეების უმეტესობას კასპაროვისა ეშინია. მათ შეუძლიათ გარკვეული დროის განმავლობაში ეს შიში დასძლიონ. ამ შიშის გამოა, რომ კასპაროვი ესოდენ მაღალ შედეგებს უჩვენებს. უკანასკნელი ტურნირი ლი-ნარესში თუ მართლაც საუკეთესო იყო მთელი მისი საჭადრაკო კარიერის მანძილზე, დიდ ნოვგოროდში უფერულად, უინტერესოდ ითამაშა.

„აი, კრამნიკს კი უდიდესი, არარეალიზებული პოტენციალი აქვს. იგი ჯერ კიდევ ისე არ იქცევა, როგორც საჭიროა — დიდ ძალას ჰკარგავს და არ არის თამაშის დროს მთლიანად კონცენტრირებული. მისი მთავარი პრობლემა — არასაკმარისი ამბიციურობაა, რაც ენერგიის ეკონომიის შესაძლებლობასაც კი აძლევს. ვფიქრობ, ახლა უკვე დგება ან უკვე დადგა კრამნიკის დრო.

დოლმატოვი კრამნიკის სეკუნდანტი გახდა და ფიქრობს, რომ დროა, მან უდიდესი ტურნირები მოიგოს. დოლმატოვის აზრით, კრამნიკს შეუძლია მის წინაშე მდგარი ყოველგვარი პრობლემის გადაჭრა, რადგან მას უდიდესი ტალანტი აქვს.

კასპაროვი თუ კრამნიკი? ეს საკითხი მთელი წლის განმავლობაში იდგა. მსოფლიო ჩემპიონმა პრეტენდენტს მაინც გაასწრო ჯერ ლას პალმასში, შემდეგ ლინარესსა და დიდ ნოვგოროდში. ტილბურგშიც კი, სადაც პირველი სამი ადგილი გაინაწილეს სვიდლერმა (იგი გამარჯვებულად გამოცხადდა), კასპაროვმა და კრამნიკმა, ჩემპიონს მაინც მეორე პრიზი ერგო, კრამნიკს კი მესამე, მაგრამ ყველა ამ ტურნირში მოსკოველ დიდოსტატს სულ უმნიშვნელო უპირატესობა ჰქონდა, პირადი ანგარიშში კი თანაბარია (3-3 მოგება და ყაიმები). 34 წლის კასპაროვი და 22 წლის კრამნიკი უკვე მეტოქეებად იქცნენ.

გივი გამრეკელი.

ფრენბურთი

პირველი ჩემპიონატის გამარჯვებულნი

კარგად მახსოვს, პლაჟზე დამსვენებლები ფრენბურთს თამაშობდნენ, და იგი გართობის ჩინებული საშუალება გახლდათ. ახლა ასეთ „გართობას“ ოფიციალური სახე მიეცა და სპორტის ეს სახეობა 1996 წლის ზაფხულის XXVI ოლიმპიური თამაშების პროგრამაშიც კი შეიტანეს. ატლანტის ოლიმპიადაზე ქალთა დუეტებს შორის ბრაზილიელებმა მოიპოვეს ოქროს მედლები, ვაჟთა ასპარეზობებზე კი ამერიკელმა ფრენბურთელებმა გაიმარჯვეს...

ახლახან ბათუმში გაიმართა საქართველოს პირველი ჩემპიონატი საპლიაჟო ფრენბურთში. შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის 8 ქალთა და ამდენივე ვაჟთა წყვილი მონაწილეობდა (სპორტის ამ სახეობაში მოასპარეზე თითოეულ გუნდში 2 ფრენბურთელი გამოდის). პირველობისთვის იბრძოდნენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის, დიდი ჯიხაიშისა და სხვა რეგიონების წარმომადგენლები.

ქალთა წყვილებში საქართველოს პირველი ჩემპიონატის გამარჯვებულები გახდნენ ბათუმელი ფრენბურთელები თამარ ლატარია და ანა ბეჟინსკაია, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს თბილისელთა დუეტი ლელა გაგნიძისა და ნატალია ნიკონენკოს შემადგენლობით. ბრინჯაოს მედლები გადაეცათ თბილისელებს ნინო მღებრიშვილსა და ნატალია რაევას.

ფრენბურთელ ვაჟთა შეჯიბრებაზე 1997 წლის საქართველოს ჩემპიონის ოქროს მედლები დაისაკუთრეს ირაკლი ჩაჩუამ და სულხან ახელედიანმა. მეორე ადგილზე გავიდნენ მამუკა მაცაბერიძე და სერგეი ანდრიალი, ხოლო მესამეზე — რონ გავაშელისა და ვახტანგ ჩიქოვანის (ყველა თბილისელია) დუეტი. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს მედლებთან ერთად ფულადი ჯილდოები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

შალვა ბახტაძე.

გუშინ

საქართველოს სტადიონებზე გაიმართა ფეხბურთელთა მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის მეცამეტე ტურის მატჩები. გაუწყებთ მათ შედეგებს:

„ლოკომოტივი“ — „დილა“ 2:1,
„ბათუმი“ — „გორდა“ 4:0,
„კოლხეთი“ — „ოდიში“ 0:1,
„სიონი“ — „მერანი“ 2:2,
„მალაროელი“ — „მარგვეთი“ 2:1,
„გურია“ — „დინამო“ 0:4.

დღეს თბილისში, „შევარდენის“ სტადიონზე 15 საათზე დაიწყება XIII ტურის ბოლო შეხვედრა „მორკინალი“ — „სამგურალი“.

კრივი

ჰოლიფილდი — ორგზის ჩემპიონი

გასულ შაბათს, გვიან ღამით ლას-ვეგასში 35 წლის მსოფლიო ჩემპიონმა სუპერმძიმე წონაში **WBA** ვერსიით ევანდერ ჰოლიფილდმა ფანტასტიური ორთაბრძოლა გამართა **IBF** ვერსიის მსოფლიო ჩემპიონთან მაიკლ მურერთან და სამი ყველაზე პრესტიჟული საჩემპიონო ოქროს სარტყელიდან ორის მფლობელი გახდა.

ამით ევანდერ ჰოლიფილდმა თავის კარიერის მანძილზე ერთხელ კიდევ დაამსხვრია სკეპტიკოსების „გამჭრიახობა“ — კრივის ყველაზე ავტორიტეტული სპეციალისტები ამტკიცებდნენ, რომ მაიკლ ტაისონზე ორი სენსაციური გამარჯვება თითქოსდა ჰოლიფილდისთვის პროფესიულ რინგზე გედის სიმღერა იყო. მას ურჩევდნენ კიდევაც, დროზე მიეტოვებინა კრივი, რათა ასპარეზი დამარცხებულს არ დაეტოვებინა.

მაგრამ ევანდერმა გაიმარჯვა, თუმცა გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც. 35 წლის მოკრივის 35-ე გამარჯვება მართლაც რომ შთამბეჭდავი იყო: 29 წლის მოწინააღმდეგე მან, შეიძლება ითქვას, დაჩაგრა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ამის დასამტკიცებლად საკმარისია მხოლოდ ის, რომ მთელი მატჩის განმავლობაში მან მურერი ხუთჯერ (!) გაგზავნა ნოკდაუნში.

როგორც ადრეც ვწერდით, ჰოლიფილდს განზრახული აქვს სამივე სერიის ჩემპიონის წოდების მოპოვება — და აი, ორგზის ჩემპიონი უკვე გახდა, თუ ვინ იქნება მისი მომავალი მოწინააღმდეგე, ალბათ, მალე შევიტყობთ.

სურათზე: ეს ეს არის ევანდერ ჰოლიფილდმა მეხუთედ გაგზავნა ნოკდაუნში მაიკლ მურერი.

ეს ასე იყო...

საფეხბურთო მინიატიურები

ტაშკენტის მატჩის გმირი

დიახაც, გმირი! ძალიან მიკვირს, რატომ უნდა გავურბოდეთ რეალობას — ანგარიში ხომ მოსკოველ ტორპედოელებს მიჰყავდათ? უფრო მეტიც, თბილისელებს ტექნიკური და სათამაშო უპირატესობის მიუხედავად, კარგი შედეგიანი დარტყმები არ გამოსდიოდათ. წუთი წუთს მისდევდა, მეორე ტაიმი დასასრულისაკენ მიდიოდა, მოსკოველი მცველები იძულებული იყვნენ ხშირად ბურთი პირით ხაზს იქით მოეგერიებინათ. და როცა მატჩის ძირითადი დროის დამთავრებას 18 წუთიღა უკლდა, ილია დათუნაშვილმა მორიგი (ზედიზედ, მგონი, მესამე) კუთხურიდან ბურთი შაპოვალენკოს კარისკენ გაგზავნა. უკაცრავად, კარისკენ კი არა, კარში — ბურთი მეკარისაგან მორეულ კუთხეში ჩაეშვა — 1:1.

ალბათ, დამეთანხმებით, ამ გოლს ძალიან დიდი, როგორც სპორტული, ასევე ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა.

დამატებით დროში რაც მოხდა, ასევე ყველას გვახსოვს და თბილისის „დინამო“ პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

ხაზგასმის ღირსად მიმაჩნია იმის გახსენებაც, რომ, ჩვენის აზრით, კუთხურების დიდოსტატმა „გენერალური რეპეტიცია“ იმავე 1964 წლის ჩემპიონატის ერთ-ერთ თბილისურ მატჩში გაიარა. 15 ოქტომბერს ბაქოს „ნეფტიანიკთან“, როცა თამაში გოლი გოლზე მიდიოდა და ანგარიში გახდა 3:2 „დინამოს“ სასარგებლოდ ილია დათუნაშვილმა უშუალოდ კუთხურიდან გაიტანა მეოთხე გოლი და, როგორც აღნიშნავდნენ, გარდატეხა შეიტანა თამაშში. და თუმცა ბაქოელებმა ისევ მოახერხეს სხვაობის შემცირება, „დინამომ“ მაინც მოიგო მატჩი — 4:3.

კიდევ ერთი, ილიას ბევრისაგან განსხვავებული თვისება მსურს გამოვყო: უნივერსალიზმი. ისევ ჩვენთვის იმ „ოქროს ჩემპიონატს“ დავიმოწმებ. პირველ წრეში, როცა შოთა იამანიძე თავდასხმაში წასწიეს, ილია დათუნაშვილმა ორი მატჩი ნახევარდაცვაში ითამაშა გიორგი სიჭინავასთან წყვილში. შემდეგ მან ავადგამხდარი მიხეილ მესხი შეცვალა, რვა თუ ცხრა თამაშში მარცხენა გარემარბის ამპლუაში გამოვიდა და, როგორც მახსოვს, თავი არ შეურცხვენია. ხოლო გუნდის შემადგენლობაში გამოჯანმრთელებული მ. მესხის დაბრუნების შემდეგ, გავრილ კაჩალინმა ი. დათუნაშვილი მარჯვენა გარემარბად დააყენა ცენტრში გადანაცვლებული სლავა მეტრეველის ნაცვლად. სწორედ ამ ამპლუაში გაითვალისწინეს იგი 33 საუკეთესოს სიაში მეორე ნომრად (მოსკოველი ი. ჩისლენკოს შემდეგ და კიეველი ო. ბაზილევიჩის წინ).

ი. დათუნაშვილი მეორედაც მოხვდა „33“-ში (1966 წელს) და ისევ მეორე ნომრად, მხოლოდ ამჯერად მარცხენა გარემარბეში, კიეველი ვ. ხმელნიცკის წინ.

მაგონდება (და არ უნდა ვცდებოდე), ილია დათუნაშვილი ერთხელ, გუნდის ინტერესებისათვის, დაცვაშიც კი გამოიყვანეს (არა 1964 წელს).

კიდევ ხომ არ დავარტყა?

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის საკლუბო ჩემპიონატების ისტორია 1936 წლიდან იწყება, მანამდე კი პირველობის გათამაშებაში დიდი ქალაქები მონაწილეობდნენ. მათ შორის იყვნენ თბილისიც და ბაქოც. სწორედ მათ ბაზაზე 1926 წელს შეიქმნა ამიერკავკასიის ნაკრები, რომელმაც 10 წელიწადი იარსება. 1935 წელს გუნდი შვედეთის ქალაქ გიოტებორგში მიმდინარე ანტიფაშისტურ შეკრებაზე მიავლინეს. გუნდმა ტურნირში გაიმარჯვა და შეთავაზებაც დაიმსახურა — მოეწყოთ ტურნე სკანდინავიის ქვეყნებში.

ამბავი, რომელიც მკითხველებს მსურს მოვუთხრო, სწორედ ამ ტურნეში, კერძოდ, ნორვეგიაში მოხდა.

პირველი ბურთი მეტოქეთა კარში გაიტანა თბილისელმა მიხეილ ბოლოტინმა, რომელსაც ჩვენში მეტსახელად „პარავოზას“ ეძახდნენ. ანგარიში გაზარდა მიხეილ ბერძენიშვილმა, რომელმაც, როგორც ყოველთვის, უზადოდ გამოიყენა ბოლოტინის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი, მაგრამ მსაჯმა, თურმე, გოლი არ ჩათვალა. ბერძენიშვილმა გაიმეორა დარტყმა და გაიმეორა მთელი სიზუსტით: დაარტყა იმავე კუთხეში, როგორც წინა შემთხვევაში, მეკარემ ერთ მხარეს გააკეთა ნახტომი, ბურთი კარის მეორე კუთხეში გავიდა. ნორვეგიელი ფეხბურთელების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდაო, მოგვითხრობს თავად ბოლოტინი. ხოლო მიშა ბერძენიშვილი? პენალტების დიდოსტატმა მშვიდად აიღო ბურთი ხელში და დადო თერთმეტმეტრიანის ნიშნულზე. მსაჯი გონს მოეგო, მიხვდა, რომ ქართველი ფეხბურთელი აპირებდა მესამედ შეესრულებინა საჯარიმო დარტყმა, კეთილად გაუღიმა, მხარზე ხელი დაჰკრა და მიახვედრა — გაიგე, რასაც აპირებო. მაყურებელთა ხარხარმა და ტაშმა სტადიონი შეაზანზარა.

ცხადია, პენალტი მესამედ აღარ შესრულებულა.

ისევ „აკიმოვი და პაიჭაძე“

მარშან სპორტულ პრესაში ჩემს მიერ გამოქვეყნებული საფეხბურთო მინიატურებიდან ერთ-ერთი აკიმოვ-პაიჭაძის ომისშემდგომი წლის დუელს ეხებოდა. მეკარეთა გამოკითხვაში მოსკოვის ტორპედოელმა ა. აკიმოვმა სახიფათო თავდამსხმელად ჩვენი ბორის პაიჭაძე არ დაასახელა, „სამაგიეროდ“, ამ გუნდების თბილისურ მატჩში, რომელიც მასპინძლებმა მოიგეს ანგარიშით 2:0, ორივე გოლი ბორისმა გაიტანა, თან ერთი... პირდაპირ კორნერიდან!

ამ დღეებში მივაგენი ამ საინტერესო საგაზეთო გამოკითხვის დეტალებს, რამაც, შესაძლოა, ფეხბურთის თაყვანისმცემლებიც დააინტერესოს.

ბ. პაიჭაძე სახიფათო ფორვარდად მიიჩნიეს მოსკოვის „სპარტაკისა“ და ლენინგრადის „დინამოს“ მეკარეებმა ვ. ჟმელკოვმა და ვ. ნაბუტოვმა. პირველმა გ. ფედოტოვთან („პაიჭაძეს მაინცდამაინც ძლიერი დატყმა არ აქვს, მაგრამ ხშირად მისგან მოდის მეკარისათვის ძნელად ასაღები უსიამოვნო „მოჭრილი ბურთი“), მეორემ — ვ. ბობროვთან („თბილისელს ტექნიკა საშუალებას აძლევს იოლად მიაუსლოვდეს მეკარეს და შეასრულოს ზუსტი, მოულოდნელი დარტყმა“) ერთად. ა. აკიმოვი ასახელებდა მოსკოველ დინამოელებს კ. ბესკოვსა და ვ. კარცევს.

სულ „ა“ ჯგუფის გუნდების მეკარეები შვიდ თავდამსხმელს ასახელებდნენ: ზემოთ მოხსენიებულთა გარდა, არმიელ ვ. ნიკოლაევსა და მოსკოველ დინამოელს ს. სოლოვიოვს.

გიორგი მახარაძე.

სატენდერო მოწვევა

1997 წლის 11 ნოემბერი

კრედიტის № 2958

1. საქართველოს მთავრობამ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (აქ და შემდგომში „ასოციაციად“ წოდებული) საქართველოს ენერგეტიკის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელების მიზნით. დაგეგმილის შესაბამისად აღნიშნული კრედიტის თანხების ნაწილით მოხდება გარდაბნის თბოელექტროსადგურისათვის ბუნებრივი გაზის შესყიდვა (სააქციო საზოგადოება თბილსრესი).

2. სათბობ-ენერგეტიკული პროექტების მომამზადებელი და ალმასრულებელი სააგენტო (აქ და შემდგომში „სააგენტოდ“ წოდებული) იწვევს დაბეჭდილ სატენდერო შეთავაზებებს ნებადართულ მონაწილეთაგან თბილსრესისათვის, 1998 წლის იანვარ-თებერვლის მონაკვეთში, 65 მლნ ნმ³ ბუნებრივი გაზის მოწოდებაზე.

3. ტენდერი ჩატარდება სახელმძღვანელოში მოცემული საერთაშორისო საკონკურენტო პროცედურების ჩატარების გზით. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერი, სახელმძღვანელოს თანახმად ნებადართული ქვეყნის წარმომადგენელ კომპანიას. სახელმძღვანელოს დასახელება: „შესყიდვები IBRD-ს (საერთაშორისო განვითარების ასოციაცია) სესხებისა და კრედიტების თანხებიდან“.

4. დაინტერესებულ ნებადართულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას ქვემოთ მითითებულ მისამართზე:
საქართველო, თბილისი
ვეკუას ქ. № 1, 380005
სათბობ-ენერგეტიკული პროექტების მომამზადებელი და ალმასრულებელი სააგენტო
ტელ/ფაქსი (995 32) 92 35 49
ჯემალ ახალაია
პროექტის მენეჯერი

5. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ სატენდერო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი, წერილობითი განცხადების ზემოთ მოცემულ მისამართზე წარდგენისა და 100 აშშ დოლარის ოდენობით უკუანაზღაურების არდაქვემდებარებული შესატანის გადახდის საფუძველზე, რომლის გადარიცხვა მოხდება შემდეგ ანგარიშზე:
CITIBANK, ნიუ-იორკი
გაერთიანებული ქართული ბანკი, თბილისი
საკორესპონდენტო ანგარიში № 360 214 34 (usd)
სათბობ-ენერგეტიკული პროექტების მომამზადებელი და ალმასრულებელი სააგენტოს (**FEPPIA**) სახელზე
ანგარიშის № 222 070 80

6. სატენდერო წინადადების წარდგენა მოხდება სათბობ-ენერგეტიკული პროექტების მომამზადებელ და ალმასრულებელ სააგენტოში, ვეკუას ქ. № 1, 380005 თბილისი, საქართველო, 1997 წლის 11 დეკემბრის ადგილობრივი დროით, დილის 10 სთ-ზე ან მანამდე. ყველა სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს სატენდერო დაზღვევა 50, 000 აშშ დოლარის თანხაზე. დაგვიანებული წინადადებები არ განიხილება. სატენდერო წინადადებათა პაკეტების გახსნა მოხდება მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც ისურვებენ დასწრებას მე-4-ე პარაგრაფში მოცემულ მისამართზე, 1997 წლის 11 დეკემბრის დილის 10 სთ-ზე, ადგილობრივი დროით.

INVITATION FOR BIDS

NOVEMBER 11, 1997

GREDIT No. 2958

1. The Government of Georgia has received a credit from International Development Association (hereinafter called the Association) for Georgia Power Rehabilitation Project. It is intended that part of the proceeds of this credit will be applied to purchase natural gas for Gardabani Thermal Power Plant (Joint Stock Company Tbilsresi).

2. The Fuel & Energy Projects Preparation and Implementation Agency (hereinafter called the Agency) invites sealed bids from eligible bidders for the supply of 65 million normal cubic meters of natural gas for Tbilsresi during January-February 1998.

3. Bidding will be conducted through the international competitive procedures specified in the Guidelines: Procurement under IBRD Loans and Credits, and is open to all bidders from eligible source countries as defined in the Guidelines: Procurement under IBRD Loans and Credits.

4. Interested eligible bidders may obtain further information from and inspect the bidding documents at the address given below:
Fuel & Energy Projects Preparation and Implementation Agency
1 Vekua st., 380005
Tbilisi, Georgia
Tel/Fax (995 32) 923 549
Att. Jemal Akhalaia
Project Manager

5. A complete set of bidding documents may be purchased by interested bidders on the submission of a written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee in amount of US $ 100 on the following account:
CITIBANK, NEW-YORK
UNITED GEORGIAN BANK, TBILISI
corr account No. 360 214 36 (usd)
in favor of:
Fuel & Energy Projects Preparation and Implementation Agency (FEPPIA)
Account No. 222 070. 80

6. Bids must be delivered to Fuel & Energy Projects Preparation and Implementation Agency 1 Vekua st., 380005 Tbilisi, Georgia at or before 10 a.m. local time on December 11,1997. All bids must be accompanied by a bid security of US$ 50,000. Late bids will be rejected. Bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend at the address given in para.4 above at 10 a.m. local time on December 11,1997.

საერთაშორისო მოვლენა ტრანსპორტის სფეროში

საქართველო, როგორც "ევრო-აზიური" სატრანსპორტო დერეფანი, მნიშვნელოვანს ხდის თქვენს ბიზნესს.

EL·SI

Expo Georgia

მისამართი: თბილისი, წერეთლის 118, დიდუბის საგამოფენო ცენტრი "ექსპო-ჯორჯია", პავილიონი N4 გამოფენა მუშაობს ყოველდღე 10-18 საათამდე.
დარეკეთ სასწრაფოდ
ტელ: 95-83-06; 34-11-00.

ფირმა "EL-SI" (იტალია) და "ექსპო-ჯორჯია" (საქართველო)
გიწვევთ ტრანსპორტისა და ლოგისტიკის პირველ საერთაშორისო გამოფენაზე საქართველოში
"TransCommCaucasus 97"

18-22 ნოემბრამდე

TransCommCaucasus '97

მეწარმეებს და ბიზნესმენებს
გეძლევათ საუკეთესო საშუალება მიიღოთ მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენაში მსოფლიოს წამყვან სატრანსპორტო ფირმებთან ერთად.

გამოფენაში მონაწილეობის მსურველებს ორგანიზატორები შესთავაზებენ მომსახურების სრულ პაკეტს.

შესწორება

„საქართველოს რესპუბლიკის“ 11 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა სს „საქსათბობმშენის“ განცხადება რომელშიც გამოცხადებული 30 ნოემბრის ნაცვლად, სს კრება ჩატარდება 1 დეკემბერს.

ქაღალდის სავაჭრო ცენტრი
-მერომეის (ცარ) 2,5ჯ. - 4,58 ლ.
-საბეჭდი (ცარ) 200 ფურც. - 1,83 ლ.
-საწერი (რვ) 200 ფურც. - 1,10 ლ.
-ოფსეტური №1(ცარ) 1ტ. - 1500 ლ.
-კრაფტი (ცარ) 1ტ. - 1200 ლ.
-საყდე, ცარცის, ფაქსის, АЦПУ
ტელეფაქსის ქაღალდი და
საკანცელარიო საქონლის
ფართო არჩევანი (250 სახ.)
☎ 39-84-05 38-91-64
8(77) 40-65-05

სააქციო საზოგადოება „ლითონის“ აქციონერთა საყურადღებოდ

მიმდინარე წლის 23 დეკემბერს დღის 12 საათზე შედგება სს „ლითონის“ აქციონერთა კრება.

დღის წესრიგი:
1. ნულოვანი აუქციონის შედეგების განხილვა
2. საორგანიზაციო საკითხები

მისამართი:
ქ. ქუთაისი,
სულხან-საბას ქუჩა 9.
ტელეფონი: 5-48-55, 5-23-91, 6-20-92.

სს დირექტორატი.

ტურისტული სააგენტო »ალექს«
რუსეთის კომპანია "Kalinka Int"-სთან ერთობლივად პირველად საქართველოში გთავაზობთ ინდივიდუალურ ელიტარულ ტურებს და კრუიზებს აშშ-ში და ევროპაში
თბილისი, გორგასალის გამზ. 3
ტელ.: 92-36-78

ქალაქ თბილისში პრესის გავრცელების საცალო ქსელში დასაქმებულთა და კერძო რეალიზატორთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ მიმდინარე წლის 20 მაისიდან ნებადართულია „საქართველოს რესპუბლიკის“ მხოლოდ იმ ეგზემპლარების გაყიდვა, რომლებზეც ამ გაზეთის გამომცემელი შპს „პრესის“ სპეციალური შტამპი იქნება დარტყმული.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ამავე გაზეთის ინფორმაციის რედაქციის რედაქტორს არჩილ მანჯგალაძეს სიდედრის

პეტრონელი დომორადსკაია – ბუდნიკოვას

გარდაცვალების გამო.

შვილები ლიანა, ელდარ ისაკაძეები, რძალი მანანა ლონდარიძე, სიძე თამაზ ჩაჩავა, შვილიშვილები ირმა, გიგა, ძმა თორნიკე კვირიკაშვილი ოჯახით, მძახლები მარიკა, მალვა ლონდარიძეები, მულიშვილები ლილი, ჯუმბერ ქუმაშვილები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალინა ტრიფონის ასული კვირიკაშვილი-ისაკაძე

პანაშვიდი 11, 12 XI, 4 სთ. დაკრძალვა 13 XI, 2 სთ. ჭავჭავაძის პროსპ. №52 II სადარბაზო, ბინა 7.

საქართველოს კულტურის სამინისტრო თანაუგრძნობს გამოჩენილ ქართველ მუსიკოსებს ლიანა და ელდარ ისაკაძეებს

დედის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ბაბული ფურცელაძე, შვილი გია, რძალი ციცი, შვილიშვილები ანანო, ირაკლი, დისწულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იოსებ (სოსო) დომენტის ძე ფირცხალაიშვილი

პანაშვიდი 13, 14 XI, 4 სთ. გამოსვენება 15, XI 2 სთ. ინტერნატის ქ. №8

შვილები ბუხუტი, ეთერი, ირა, გენრიეტა, მერი, სანდუხტი, ეკა, შვილიშვილები ოთარ, ზურაბ დიხამინჯიები, პაატა, ლაშა ჯაველიძეები, ზაზა, მაგდა ზაქარეიშვილები, უჩა, ლელა ჩაჩხიანები, გიორგი, ლევან ერქომაიშვილები, მზია, ირმა ნინიძეები, ირაკლი ცისკარიძე, რძლები ნაილი ჭყოიძე, ლორენა ლორთქიფანიძე, ანა ლოლაძე, სიძეები ნოდარ ჯაველიძე, ნოდარ ცისკარიძე, ზურაბ ჩაჩხიანი, გენო ერქომაიშვილი, რომან ნინიძე, გელა ომიაძე, თენგიზ თედორაძე, მძახლები ანეტო ცისკარიძე, გიორგი ჭყოიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალნენ

ოთარ ბუხუტის ძე დიხამინჯია და
ვერიკო ალექსანდრეს ასული შენგელია-დიხამინჯია

დაკრძალვა 15 XI 3 სთ. სოფელ ბანძაში (მარტვილის რაიონი).

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“ იუწყება, რომ გაზეთ „განათლების“ თანამშრომელს ქალბატონ მერი დიხამინჯია-ჯაველიძეს და ბატონ ნოდარ ჯაველიძეს გარდაეცვალათ დედ-მამა და სიდედრ-სიმამრი

ვერიკო შენგელია-დიხამინჯია და ოთარ დიხამინჯია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილები გურამი, მზია, რძლები ლია, ირინა, შვილიშვილები დათო, ქეთი, კოტე კობერიძეები, ლევან, ლელა ბერიძეები, სიძე სიმონ თავაძე, შვილთაშვილები ანანო, სანდრო, გიორგი, თათია, ირაკლი, სოსო, დისწულები, მაზლისწულები, მულიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანა (ანიჩკა) ნიკიფორეს ასული იაშვილი-კობერიძე

პანაშვიდი 13, 14 XI, 4 სთ. დაკრძალვა 15 XI, 2 სთ. ავჭალა, ბაღნარის 13.

მეუღლე ნორა ლანჩავა, შვილები თამაზი, ნატო, სიძე მერაბ წიწვაძე, რძალი მანანა კოხოძე, შვილიშვილები ნათია, თეონა, მედა, ანა, ნათესავები და ახლობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ნიკოლოზის ძე სილაგაძე

პანაშვიდი 13, 14 XI 4 სთ. დაკრძალვა 15 XI 2 სთ. საბურთალოს სასაფლაოზე. ბახტრიონის ქ. I კორ. XI სად. მე-5 სართული.

ფირმა „არგოტური“-ს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თამაზ სილაგაძის მამის

ოთარ ნიკოლოზის ძე სილაგაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები ეთერი, თემურ კვინტრაძეები, შვილიშვილები ეთუნა, თეა კვინტრაძე, კახა, პაატა კახაძე, შვილთაშვილი თათა გიორგაძე, რძალი ჯული მამაცაშვილი, სიძეები ზაურ კახაძე, მიხეილ გიორგაძე, დისწულები ნუნუ, ანეტო ალადაშვილები, ძმისწული მირიან მირიანაშვილი, მაზლი იოსებ კვინტრაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელენე ვასილის ასული მირიანაშვილი-კვინტრაძე

პანაშვიდი 13,14 XI, 4 სთ. დაკრძალვა 15 XI, 2 სთ. ჭავჭავაძის გამზირი №43.

შვილები ივა, მინდია გაჩეჩილაძეები, შვილიშვილები დათო, სოფიკო, რძალი ხათუნა კარტოზია, ლიანა მოისწრაფიშვილი ოჯახით, მძახლები გურამ კარტოზია, ცისანა თოდუა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლამარა ივანეს ასული მოისწრაფიშვილი

პანაშვიდი 13, 14 XI 5 სთ. გამოსვენება 15 XI 3 სთ. კოსტავას ქ. №3.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლის, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის

ნათელა სევერიანეს ასული ნანეიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ცეკავშირის გამგეობა და აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს მზია ებრალიძეს მამის

გრიგოლ (ლომინი) ებრალიძის

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

სიმონ ჯინჯიხაძე

ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ლვაწლმოსილი მუშაკი, მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დამსახურებული მექანიზატორი სიმონ პეტრეს ძე ჯინჯიხაძე.

დაიბადა 1932 წელს ქ. აბაშაში. 1955 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი.

1956 წლიდან მოყოლებული ბატონი სიმონი მუშაობდა ახალციხის რაიონის სოფელ წნისში ინჟინერ-მექანიზატორად, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში. 1957-60 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი, რომლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში უფროს მეცნიერ მუშაკად, უფროს ინჟინერ-კონსტრუქტორად. 1966 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1964-1971 წლებში სიმონ ჯინჯიხაძე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ინსტრუქტორად, 1971-1978 წლებში კი – საქართველოს მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილედ, 1978-1983 წლებში იყო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე.

1983 წლიდან 1996 წლამდე ბატონი სიმონი მუშაობდა რესპუბლიკურ გაერთიანება „საქფრინველმრეწვის“ თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ხოლო აღნიშნული უწყების სახელმწიფო კორპორაციად ჩამოყალიბების შემდეგ – ვიცე-პრეზიდენტად, სიცოცხლის ბოლომდე კი მუშაობდა მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტში სამმართველოს უფროსად.

დიდია სიმონ ჯინჯიხაძის წვლილი მეფრინველეობის დარგის აღმავლობაში. იგი იყო 18-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის საკითხებზე, სამუშაო მაგიდაზე დარჩა სადოქტორო დისერტაცია, რომლის დასრულება ვერ მოასწრო.

ბატონი სიმონი იყო თავისი საქმის უბადლო ოსტატი, კეთილი და მოყვასი ადამიანი, რომელშიც ორგანულად იყო შერწყმული სიდარბაისლე, ინტელექტი, პროფესიონალიზმი, უანგარობა და კრისტალური პატიოსნება.

ბატონი სიმონ ჯინჯიხაძე იყო ახალგაზრდობის დიდი დამრიგებელი და ქომაგი. საქართველოში მოღვაწე მექანიზატორებმა, უახლოესმა მეგობრებმა და კოლეგებმა, ხოლო ოჯახმა მისი სახით დაკარგეს გულისხმიერი მეგობარი, მზრუნველი მეუღლე, მამა და ბაბუა.

სიმონ ჯინჯიხაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება თანამოსაქმეების, მეგობრებისა და ახლობლების გულში.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტი.

გრიგოლ ჭითანავა

გარდაიცვალა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკი, პოლკოვნიკი გრიგოლ ლევანის ძე ჭითანავა.

გრიგოლ ჭითანავა დაიბადა 1921 წელს ქ. ოჩამჩირეში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. ომის დაწყების პირველივე დღიდან იყო დაზვერვაში. ომის დამთავრებამ ბერლინში მოუწია. 1954 წლამდე მუშაობდა უშიშროების სისტემაში, 1973 წლამდე ეკავა სხვადასხვა პასუხსაგები თანამდებობა შინაგან საქმეთა სამინისტროში.

სხვადასხვა დროს იყო სოხუმის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი, აფხაზეთის მსს სამსახურის განყოფილების უფროსი, სოხუმის სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი, ოჩამჩირის შს რაიონული განყოფილების უფროსი და ა. შ.

1973 წლიდან, პენსიაზე გასვლის შემდეგ, მუშაობდა ქ. სოხუმის საბჭოში კადრების განყოფილების უფროსად, ადმინისტრაციული ორგანოს განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე. იყო დიდების, წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის ორდენების, მრავალი მედლის კავალერი.

სამარადისო ხსოვნად დარჩება გრიგოლ ჭითანავას უკვდავი სახელი მეგობრების, ახლობლების გულში, როგორც უაღრესად კეთილშობილი, პრინციპული, უანგარო და იშვიათი ბუნების ადამიანისა.

ნათელი დაადგეს.

მეგობრები.

შამილ (შიო) ოდიშელიძე

გარდაიცვალა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, მ. თოიძის სამხატვრო სასწავლებელთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „მთაწმინდის“ მუსიკოს-აკომპანიატორი შამილ (შიო) ნიკოლოზის ძე ოდიშელიძე.

დაიბადა 1930 წელს. დაამთავრა მ. თოიძის სახელობის სამხატვრო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. მრავალ წელიწადს მოღვაწეობდა პროფესიულ-ტექნიკური განათლების კულტურის რესპუბლიკური ქორეოგრაფიული ანსამბლების „ფერხული“, „იბერია“ და მ. თოიძის სამხატვრო სასწავლებელთან არსებული ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მთაწმინდის“ მუსიკოს-აკომპანიატორად.

მოღვაწეობის პერიოდში მიღებული აქვს მრავალი მადლობა, საპატიო სიგელები, დიპლომები, ლაურეატის წოდებები, 1-ლი ხარისხის ოქროს სამკერდე ნიშანი მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედების 28-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის. მიენიჭა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

პარალელურად მუშაობდა წითელ ხეზე მოჩუქურთმედ და გაკეთებული აქვს მრავალი გამოფენა-გაყიდვა.

შ. ოდიშელიძე ერთგულად და კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის თვითმოქმედ კოლექტივებს შემოქმედებით აღზრდა-ჩამოყალიბებაში.

ნიჭიერი და კარგი ადამიანის შამილ ოდიშელიძის ხსოვნა დარჩება მის მრავალრიცხოვან თანამოსაქმეთა და ახლობლების გულში.

თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო ლიცეუმის პედაგოგიური კოლექტივი.

მრეწველობის სამინისტრო ღრმა სამძიმარს უცხადებს მინისტრის მოადგილეს ბატონ თემურ კვინტრაძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „ლაღიძის“ კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ფირმის მთავარ ტექნოლოგს ნანა ჩახაიას დედის

ნინო სიმონის ასულ გეგუჩაძის

გარდაცვალების გამო.

კონცერნი „საქგვირაბმშენი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კონცერნის ღვაწლმოსილი მუშაკი

კორნელი ხეცურიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსლან რუსია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშტარიას 29.